№ 8 (11054)

1 — 4 თებერვალი, 1997 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში წაიკითხავთ:

კიეველები თბილისში საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

არა, ზაზა, ქართული ფეხბურთი ხელჩამოსაშვები არაა!

რას ფიქრობს მსოფლიოში ყველაზე ნორჩი ჩემპიონი ჩოგბურთელი.

6 თვის ბიჭუნა — საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი.

კიევის „დინამოს" წლევანდელი ბიუჯეტი 12 მილიონი დოლარია.

კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი პოლონეთში.

შალვა ხუჯაძე — „ტორპედო" თუ „კოლხეთი"?

„ბარსელონა" — „რეალი": ვინ — ვის?

ჭადრაკისა და კრივის ამბები, კროსვორდი...

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო — ბელარუსი 80:78

საქართველო: უსტიაშვილი (1), დადიანი (8), ქარაბაკი (31), ბეჟანიშვილი (15), ნაცვლიშვილი (22), ჩხეიძე (3), ჯაფარიძე, თორთლაძე, კოკოლიშვილი.
ბელარუსი: კუზმინი (6), პინტიკოვი (23), კლემეზი (28), სვეტნიკი (13), ტკაჩენკო (2), კორჟუკი (6), ხამენია, შარკო.

ქართველმა კალათბურთელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე შესუსტებული შემადგენლობით ითამაშეს, მაინც გაიმარჯვეს. მატჩმა დაგვანახვა ჩვენი კალათბურთელების სპორტული ჟინი, ბრძოლისუნარიანობა, მათ ხომ ცენტრალური თავდამსხმელების გარეშე დაამარცხეს ბელარუსის, არც თუ ისე სუსტი ნაკრები.

ვლადიმერ სტეფანიას არყოფნაში, რომელიც ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა სლოვენიიდან, მისი ადგილი დაიკავა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას ამ მოვალეობისათვის ურიგოდ არ გაურთმევია თავი. დიდი დანაკლისი იყო ჩვენი სნაიპერის გია სანაძის არყოფნაც. ამ შეხვედრაში ქართველებმა მხოლოდ ორი სამქულიანი ჩააგდეს, ისიც დუდუ დადიანმა მოახერხა, რომელმაც ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო ვადაზე ადრე დატოვა მოედანი.

რაც შეეხება შეხვედრის მსვლელობას, იგი უკომპრომისო ბრძოლაში წარიმართა გარდამავალი უპირატესობით. ქართველები სულ მდევრის როლში იყვნენ და მხოლოდ ორჯერ გავიდნენ წინ. თამაშის მეორე ნახევარი უფრო სწრაფ ტემპში წარიმართა, სტუმრებს ძირითადად აქცენტი სამქულიან სროლაზე ჰქონდათ გადატანილი, რამაც, გარკვეულწილად, შედეგი გამოიღო. ჩვენები ცდილობდნენ ინდივიდუალურად მიეღწიათ წარმატებისათვის, ვინაიდან შორიდან სროლა არც ერთს არ წაუვიდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქარაბაკი და ნაცვლიშვილი, რომელთა ფარქვეშ „შესვლებს" სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს.

შეხვედრის ბოლო სამი წუთი ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ თამაშს ქართველები აკონტროლებდნენ. მათ მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს, რამაც ნაყოფი გამოიღო და ბეჟანიშვილის ორმა ქულამ საბოლოო გამარჯვება მოგვიტანა.

გოგა ლომიძე

პარლამენტში

საკომიტეტო მოსმენაზე არც სპორტი დავიწყებიათ

იმ საპარლამენტო კომიტეტის შემადგენლობაში, რომელსაც განათლების, მეცნიერებისა და კულტურისა ეწოდება და რომელმაც ამ დღეებში საკმაოდ წარმომადგენლობითი სხდომა მიუძღვნა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას, სპორტის კომიტეტიც შედის. მისი თავმჯდომარის, მანუჩარ მაჩაიძის გარდა, საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი, მისი პირველი მოადგილე და სეოკის პრეზიდენტი ჯანსუღ ბაგრატიონი, ხსენებული კომიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი, პროფესორი გურამ ძაგანია.

შევეძლო პროექტიდან ამოკრებილი ზოგიერთი ციფრი გაგვეცნო მკითხველისათვის — ვთქვათ, რამდენია მომუშავეთა რაოდენობა სპორტის დეპარტამენტის აპარატში, სეოკში, სპორტის დეპარტამენტის საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებსა თუ უმაღლეს სასწავლებელში და სხვაგან და რამდენი ათასი ლარია, შესაბამისად, მათთვის გამოყოფილი, მაგრამ, ვფიქრობთ, არ ღირს ასეთი მონაცემებით წერილის

იხ.მე-2 გვ.

კენგურუ „დაჩაგრეს"

ოლიმპიურ თილისმებს თავისი ისტორია აქვს და ახლა, სიდნეის თამაშებისთვის ეს ისტორია განსაკუთრებული სიახლით შეივსება — პირველად ოლიმპიადების თილისმის საპატიო მისია დაეკისრება ერთბაშად სამ მეგობარს ასპროცენტიან ავსტრალიურ ცხოველთა სამყაროდან. ესენი არიან: ჩიტი კუკუბურა, რომელსაც მეტსახელად ოლი ჰქვია, იხვნისკარტა — სიდი და ექიდნა — მილი.



სიდნეიში უკვე გაიმართა მომავალი ოლიმპიადის თილისმის ოფიციალური წარდგინება. როგორც თვით ავსტრალიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თამაშების თილისმად ვერ იქცა მთელს მსოფლიოში ცნობილი ავსტრალიური კენგურუ. რას იზამ, მკაცრმა ჟიურიმ სულ სხვა არჩევანი გააკეთა.

ასე გამოიყურება „სიდნეი — 2000"-ის თილისმა

ქართველმა სკონტოელებმა ქართველი დინამოელები თბილისში გამოისტუმრეს

„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი (ტელეფონით) მოსკოვიდან:

თბილისის „დინამო" „თანამეგობრობა-97-ის თასის" გათამაშებას გამოეთიშა. წინა რეპორტაჟში არ მინდოდა „ლელოს" მკითხველებისათვის გული დამეწყვიტა... მაგრამ უნდა ვაღიარო: ჯგუფში მოპოვებული გამარჯვებების მიუხედავად, ახალგაზრდა დინამოელთა თამაშში მაინც ბევრი წუნი შეიმჩნეოდა, რასაც სხვას არ დავუჯერებდი, მაგრამ საკუთარი თვალით ვნახე იმ კომპონენტშიც კი, რითაც ქართველები არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გამოირჩეოდნენ – ტექნიკაში მოიკოჭლებდნენ. აბა, რით ავხსნათ ამდენი წუნი?

ჯერ ჩვენების ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩზე, ზოგადად.

28 იანვარი. დინამო (თბილისი) – დინამო (დუშანბე) 6-2

დინამო (თბ): ზოიძე (ლომაია), ზ. ჭელაძე, მუჯირი (ასათიანი), კალაძე, კუდინოვი, ჩხაიძე (დავითნიძე), კიკნაძე (კვარაცხელია), ცქიტიშვილი (დიდავა), კერძევაძე (ზამთარაძე), ყიზილაშვილი, ხომერიკი (დემეტრაძე).

გოლები: 1-0 კერძევაძე (15), 2-0 ცქიტიშვილი (16), 3-0 ხომერიკი (42), 4-0 კუდინოვი (44), 5-0 ყიზილაშვილი (58), 5-1 ხამიდოვი (65, პენ.), 6-1 კალაძე (77), 6-2 კამალედინოვი (89, პენ)..

როგორც ადრე გაუწყეთ, ეს თამაში არაფერს წყვეტდა —„დინამოს" წინა ორი გამარჯვებით ჯგუფში პირველი ადგილი ისედაც განაღდებული ჰქონდა. ამიტომ დავით ყიფიანმა შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და ახალგაზრდების ძალა მოსინჯა. მიუხედავად ამისა, თბილისელებს ტაჯიკების დამარცხება არ გასჭირვებიათ. აღსანიშნავია, როგორც ნახეთ, დუშანბელებმა ჩვენს კარში ორივე გოლი პენალტით გაიტანეს.

29 იანვარი. მეოთხედფინალი: დინამო (თბილისი) – სკონტო (რიგა) 0-0, პენალტებით 4-5.

მსაჯი. ვ. ჟუკი (ბელარუსი).

დინამო: ზოიძე, კალაძე, ზ. ჭელაძე, მუჯირი (ზამთარაძე), დიდავა, კუდინოვი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, კერძევაძე, დემეტრაძე, ხომერიკი (ყიზილაშვილი).

სკონტო: კოლინკო (ლაიზანი), მიხოლაპი (ლიდაკსი), რეხვიაშვილი, შევლიაკოვი, სილაგაძე, ივანოვი, შტოლფერსი, პახარი, ბაბიჩევი (ჩალაძე),

იხ.მე-2 გვ.

ასოციაციის ყრილობა

მუშტაიდის ბაღში ამ დღეებში ჩატარდა სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაციის ყრილობა. ასოციაციის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს თენგიზ გაჩეჩილაძე, ვიცე-პრეზიდენტებად ნოდარ ლეკვეიშვილი და ვლადიმერ ბლიაძე, გენერალურ მდივნად – ლარისა გაჩეჩილაძე.

სამეფო კლუბს ვეას გადმობირება სურს

ესპანური გაზეთ „ელ პაისის" ცნობით, მადრიდის „რეალის" მთავარ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს კლუბის მეპატრონეებისათვის მიუმართავს თხოვნით, რათა მოლაპარაკება დაიწყონ იტალიის „მილანთან" მსოფლიოს 1995 წლის რჩეული ფეხბურთელის, ლიბერიელი თავდამსხმელის ჯორჯ ვეას გადმობირების თაობაზე. შეგახსენებთ, ერთი თვის წინათ სამეფო კლუბმა „მილანიდან" მცველი კრისტიან პანუჩი გადაიყვანა.

ჯორჯ ვეა

ჰინგისი

მარტინა ჰინგისი: ახლა შამპანურსაც შევეჩვევა!

მოიგო რა ავსტრალიის ღია პირველობა, შვეიცარიელი ჩოგბურთელი მარტინა ჰინგისი, რომელიც სულ 16 წლისა და სამი თვისაა, გახდა „დიდი სლემის" ტურნირების XX საუკუნის ყველაზე ნორჩი ჩემპიონი. იგი ესაუბრა ჟურნალისტებს:

● *მარტინა, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ფინალში ადვილად გაიმარჯვეთ.*

— დიახ, ეს მატჩი კარგად ვითამაშე. მარი პიერსიც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მე უფრო სწრაფი ვიყავი. თანაც, ვცდილობდი უფრო აგრესიული ვყოფილიყავი. და ამიტომ მეტოქეს უხდებოდა კორტის შუა გულში ყოფილიყო. ვაჩვენე, პრაქტიკულად, იდეალური ჩოგბურთი. ცოტა პირველ გეიმში გამიჭირდა: მარიმ მაღალი ტემპი შემომთავაზა. გამიმართლა, როდესაც ბრეიკ-პოინტზე ეისი შევძელი.

● *ფინალური მატჩის პირველი სეტი 5:0 წაიყვანეთ. რას გრძნობდით იმ მომენტში?*

— სიმართლე გითხრათ, ცოტა შემეშინდა, ასე ადვილად რომ ვიგებდი.

● *ავსტრალიის ღია პირველობაში გამარჯვების შემდეგ, რა მიზანს ისახავთ?*

— გავიმარჯვო „დიდი სლემის" შემდეგ ტურნირში, ვითამაშო რაც შეიძლება უკეთ და, ბოლოს, გავხდე მსოფლიოს უძლიერესი ჩოგანი.

● *ესე იგი, თქვენ არ გამორიცხავთ იმას, რომ უკვე წელს გაუსწრებთ რეიტინგით შტეფი გრაფს?*

იხ.მე-6 გვ.

ქართველმა საკონტოელებმა ქართველი დინამოელები თბილისში გამოისტუმრეს

(პირველი გვერდიდან)

ბლაგონადეჟდინი (ბლეიდელისი), ზემლინსკი.

პენალტები გაიტანეს: დემეტრაძემ, ზემლინსკიმ, ზამთარაძემ, ბლეიდელისმა, ყიზილაშვილმა, პახარმა, კუდინოვმა, ივანოვმა, ლაიზანმა.

ვერ გაიტანეს: ცქიტიშვილმა, შტოლფერსმა, ჩალაძემ, კერძევაძემ, კალაძემ.

ამ მატჩზე შეკრებილი 3000 მაყურებლიდან, სულ რაღაც 100 კაცი თუ გულშემატკივრობდა ბალტიისპირელებს. მოსკოვის ქართულ დიასპორას მიაჩნდა, რომ თბილისელები ამ მატჩს ადვილად მოიგებდნენ და ამიტომ თამამად ჩადიოდნენ საკმაოდ დიდ თანხებს ადგილობრივ ტოტალიზატორში. სამწუხაროდ, იმედები არ გაუმართლდათ...

„სკონტოს" მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა, ცხადია იცოდა, როგორ ემოქმედა თბილისელთა წინააღმდეგ და თავისი გუნდის თამაში კონტრშეტევებზეააგო. სამწუხაროდ, დინამოელთა მასირებულ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია: ლატვიელები მშვიდად ხვდებოდნენ ქართველებს საკუთარი საჯარიმო მოედნის მისადგომებთან. და მაინც, მატჩის პირველ ნახევარში ჩვენებს სულ ცოტა ორჯერ შეეძლოთ კარის აღება, მაგრამ ბედი არ გინდა — ჯერ კუდინოვის, ხოლო შემდეგ კიკნაძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთები კარის ძელმა მოიგერია.

ლატვიელთა რიგებში განსაკუთრებით თავგამოდებით მოქმედებდნენ მცველი სილაგაძე და საყრდენი ნახევარმცველი რეხვიაშვილი, მომეწონა მეორე ტაიმში გამოსული ჩალაძეც, რომელმაც სიმწვავე შეიტანა ლატვიელთა შეტევებში.

მატჩის ბოლო წუთზე რევაზ ძოძუაშვილმა ტაქტიკური შეცვლა განახორციელა, რამაც თამაშის ბედი გადაწყვიტა კიდევაც: მეკარე კოლინკო გამოცდილმა ვეტერანმა ლაიზანმა შეცვალა, რომელმაც მატჩის შემდგომი პენალტებიც მოიგერია და ბოლო შედეგიანი დარტყმაც გამოიყენა.

თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ ორივე გუნდის მწვრთნელებს.

დავით ყიფიანი: „დინამომ", „სკონტოს" თამაშით აჯობა, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის — ჩვენი ფეხბურთელები ჯერ ძალიან გამოუცდელები არიან. მათ, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ დატვირთვას ვერ გაუძლეს".

რევაზ ძოძუაშვილი: „მატჩი რომ დამთავრდა, ორმაგი გრძნობა დამეუფლა: გული დამწყდა, რომ „დინამომ" წააგო, ამავე დროს, კმაყოფილი ვარ — შრომა დამიფასდა, რაც „სკონტოში" მოვედი, გუნდმა თამაში მოუმატა".

მაშ ასე, საწყენია, მაგრამ ვიყოთ რეალისტები — გაახალგაზრდავებული „დინამოსაგან" მეტს ნამდვილად არ ველოდით. საჭიროა დიდი შრომა, რომ ამ გამოუცდელი ჭაბუკებისაგან შეიკრას ნამდვილი ბრძოლისუნარიანი კოლექტივი.

გვჯერა, რომ დავით ყიფიანი ამას შეძლებს.

მოსკოვი. ექსპრეს-ინტერვიუ „ტორპედო-ლუჟნიკის" მწვრთნელ ვადიმ ნიკონოვთან, რომელიც „დინამო" – „სკონტოს" მატჩს ესწრებოდა

● *რა სიახლეებია გუნდში?*

— გუშინ გუნდი ისრაელს გაფრინდა შეკრებაზე, მე კი აქ დსთ-ს ტურნირზე „მზვერავად" დავრჩი.

● *ვინ მოგეწონათ დღევანდელ მატჩში?*

— ლატვიელთაგან — საყრდენი ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი, დინამოელთაგან — თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე. კარგა ხანია მას ვაკვირდები, ძალიან მომწონს ჟნახოთ, ჩამოვა ტარხანოვი, ვებ დავიყოლიო და გადმოვიბიროთ ისინი.

● *რა ბედი ეწია ზურაბ იონანიძეს, დავით ჯანაშიას და მალხაზ ვოსკანოვს? მათ გააფორმეს უკვე თქვენთან კონტრაქტები?*

— არა, ტარხანოვმა სამივეს განუცხადა, რომ ისინი მის სათამაშო კონცეპციას ვერ ერგებიან. ამიტომ ეს ფეხბურთელები, რამდენადაც ვიცი, თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ.

გაგაცნობთ სხვა მეოთხედფინალური მატჩების შედეგებს:

სპარტაკი (მოსკოვი) — პიუნიკი (ერევანი) 3-0, ზიმბრუ (კიშინიოვი) — დინამო (კიევი) 0-2, ლანტანა (ტალინი) — კოპეტდაღი (აშხაბადი) 0-1. ნახევარფინალში ხვდებიან: სპარტაკი — კოპეტდაღი და დინამო (კ) — სკონტო.

„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი კიშინიოველთა და კიეველთა მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ ესაუბრა კიევის „დინამოს" კლუბის პრეზიდენტს გრიგორი სურკისს და განუცხადებია, რომ მისი გუნდი ამხანაგური საერთაშორისო მატჩის გასამართავად თბილისში ჩამოვა. სავარაუდოდ, ეს 10 მარტს მოხდება, თუ რაიმე განსაკუთრებულმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა.

არკადი სმირნოვი,
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი,
მოსკოვი

საკომიტეტო მოსმენაზე არც სპორტი დავიწყებიათ

(პირველი გვერდიდან)

გადატვირთვა; უმჯობესია სპორტის სფეროს ხელმძღვანელთა გამოსვლებს გავეცნოთ.

კახი ასათიანმა შენიშნა, რომ თუმცა სპორტისათვის გამოყოფილი თანხა საერთო ბიუჯეტის მხოლოდ 0,45 პროცენტს შეადგენს (ანუ დაახლოებით ნახევარ პროცენტს), მაგრამ ეს წინა 5-6 წლის ასიგნობათა ჯამს აღემატება და არ შეიძლება, კმაყოფილება არ გამოვთქვათ ამის გამო. მანვე იქვე გაიხსენა, რომ საქართველოს კანონში სპორტის შესახებ, რომელიც შარშან, შემოდგომაზე მივიღეთ, მკაფიოდ გვიწერია: „სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები ცალკე მუხლით აისახება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში". – მე ვეძებე ბიუჯეტის პროექტში და ვერ ვნახე, რომ კანონის ეს მოთხოვნა ცალკე პუნქტად იყოს გამოტანილი...

ბატონმა კახიმ ისიც შენიშნა, რომ, როცა ადგილებზე (ვთქვათ, რაიონებში) „საკუთარი" სახსრები გამოიყოფა, გვაცნობონ, სპორტისათვის რამდენია გამიზნული.

სხდომაზე ითქვა, რომ კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გადაწყვეტილებით შეიქმნება ერთი ძლიერი „კახური" საფეხბურთო გუნდი და ამ საქმეში რეგიონის ყველა რაიონი მიიღებს მონაწილეობას. – ეს, რასაკვირველია, შესანიშნავი რამეა, მაგრამ ჩემი თხოვნა იქნება, კახელებმა მათთვის დიდად ტრადიციული სახეობის – ჭიდაობის აღორძინებას ასევე მიაქციონ ყურადღება. გულისტკივილით აღინიშნა, აგრეთვე, რომ 7 წელია, რაც ბაკურიანში შეჯიბრებები არ გამართულა სათხილამურო სპორტში. „სამაგიეროდ" თბილისში, წლეულს, მაისში, სამბოში ჩატარდება მსოფლიო პირველობა, რომელშიც 400-500 სპორტსმენი იასპარეზებს და 120 ათასამდე ლარი იქნება საჭირო (თუ ვერ ჩავატარებთ, თურმე 50 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა მოგვიწევს – თ.ე.). ჩვენ იმედი გვაქვს ფინანსთა სამინისტროს დახმარებისა – დასძინა კახი ასათიანმა.

ამ გამოსვლის მხარდაჭერით კომიტეტის (და სხდომის) თავმჯდომარემ რომან მიმინოშვილმა თხოვნით მიმართა ფინანსისტებს – კარგი იქნება ცნობები გვქონდეს, ამა თუ იმ რაიონში რამდენი იხარჯება სპორტზე, კულტურაზე, განათლებაზეო.

სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მანუჩარ მაჩაიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სპორტის დიდ როლს ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში (და დადგა დრო – ეკონომიკურშიც), კმაყოფილებით დააფიქსირა მთავრობის მხრიდან წინა წლებთან შედარებით სპორტისადმი ყურადღების გაძლიერების ფაქტი და სავსებით შეუერთდა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თხოვნას.

–ვისურვოთ, რომ წლეულს სინამდვილედ იქცეს სპორტისათვის გადადებული სახსრების მოპოვება და მიზნობრივი მოხმარება, აგრეთვე, რომ შესაძლებელი გახდეს გამოთქმული წინადადებების რეალიზება.

თამაზ ეგანოიძე

რა ხდება ქვეყანაზე

● შარშანდელ ოლიმპიურ ჩემპიონ 5000 მეტრზე, რბენაში, 24 წლის ჩინელ ქალიშვილს ვან ცზიუნსიას ნევროსტენიით დაავადების საწყისი სტადია აღმოაჩნდა, განაცხადა სპორტსმენის მწვრთნელმა. ჩემპიონის აღმზრდელის აზრით, ნერვული დაავადება დაკავშირებულია მძიმე საწვრთნელ პროგრამასთან, რასაც მორბენალი ბოლო წლებში ასრულებდა, განსაკუთრებით ატლანტის თამაშებისათვის მზადების ეტაპზე. ოლიმპიადაზე ვან ცზიუნსია ხუთ კილომეტრზე მოპოვებული ოქროს გარდა, ვერცხლის მედალსაც დაეპატრონა 10.000 მეტრზე რბენაში.

სპორტსმენს გაუფრთხა ძილი, მთელი ძალით ვეღარ ვარჯიშობს. ვან ცზიუნსიამ ოთხი წლის წინათ მთელი სპორტული სამყარო შეძრა, როცა ერთ ზაფხულს ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდები დაამყარა 3.000 (8.06,11) და 10.000 (29.31,78) მეტრებზე რბენაში და ძველ მიღწევებს შესაბამისად 16 და 42 (!) წამი ჩამოაკლო. გარდა ამისა 20 წლისამ გაიმარჯვა მსოფლიოს თასზე მარათონში შესანიშნავი შედეგით 2:24.07 (მერვე შედეგია მთელს ისტორიაში) და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა 10.000 მეტრზე რბენაში. მის დიაპაზონზე მეტყველებს აგრეთვე მეორე შედეგი ისტორიაში 1500 მეტრზე (3.51,92) რბენაში.

მორბენალი და მწვრთნელი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, მკურნალობის კურსის შემდეგ ვანი თებერვალში განაახლებს ვარჯიშს.

● ევროპის ჩემპიონმა კროსში რუმინელმა იულია ნეგურამ იხმარა სტანოზოლოლ-ანაბოლიკური სტეროიდის შემცველი პრეპარატი, რამაც ხეულის ოლიმპიადაზე მის მიღებაში მხილებულ კანადელ ბენ ჯონსონს ას მეტრზე გამარჯვებულის ოქროს მედალი დააბრუნებინა...

ამის შესახებ განაცხადა რუმინეთის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ ნიკოლაე მარაშესკუმ. იულია ნეგურამ, რომელსაც ამ დღეებში 30 წელი შეუსრულდა, დეკემბერში ორჯერ გაიარა დოპინგკონტროლი: 5 დეკემბერს შინ, 15 დეკემბერს კი შარლერუაში, ევროპის პირველობაზე ფინიშის შემდეგ. ორივე ანალიზმა აჩვენა დადებითი შედეგი. იააფ-ის წესისამებრ სპორტსმენ ქალს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მოელის.

იულია ნეგურა – ათწლეულის ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალია მსოფლიოში, ორჯერ (1990 და 1991 წ.წ.) გახდა მსოფლიო ჩემპიონი, არაერთგზის გაუმარჯვია კროსში მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებზე, ხოლო ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე 10000 მ-ზე რბენაში მერვე იყო.

„კრივის დიდების დარბაზი"

ასეთი დარბაზი, გნებავთ მუზეუმი, არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქ თავმოყრილია ყველაფერი, რაც დიდ მოკრივეებს ეხება – სურათები, ფოტოდოკუმენტები, ხსვადასხვა საყურადღებო მასალა.

და აი, ამ დღეებში კიდევ ორი პიროვნება ჩათვალეს ამ დარბაზში ადგილის მიჩენის ღირსად. ესენი არიან: გამოჩენილი მოკრივე რეი „შუგარ" ლეონარდი და პროფესიონალ მოკრივეთა მატჩების ცნობილი ორგანიზატორი დონ კინგი.

დონ კინგი

რეი „შუგარ" ლეონარდმა პირველად ყურადღება მიიქცია 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადაზე, როცა საშუალო წონაში ოქროს მედალი მოიპოვა. ამის შემდეგ იგი მთელი 15 წლის განმავლობაში დიდი წარმატებით გამოდიოდა რინგზე, 1991 წელს ჩაატარა უკანასკნელი ბრძოლა, თითქოს საბოლოოდ გამოეთხოვა რინგს, ახლა კი განაცხადა, რომ ისევ აპირებს სარბიელზე დაბრუნებას.

რაც შეეხება დონ კინგს, მან დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც უმაღლეს დონეზე მატჩების ორგანიზატორმა. იგი არის პირველი პრომოუტერი, რომელმაც მოკრივეებს ალუთქვა მრავალმილიონიანი ჰონორარი და აკი სიტყვაც არ გაუტეხია, – 30 წლის მანძილზე მან მოაწყო 300 მატჩი, მათ შორის ისეთი განთქმული ჩემპიონების მონაწილეობით, როგორიც იყვნენ მუჰამედ ალი, ჯო ფრეზერი, ან, თუ გნებავთ, ჯორჯ ფორმენი და მაიკ ტაისონი, რომლებიც ჯერაც არ წასულან რინგიდან.

ჭადრაკი
რეიტინგ-ლისტში დიდი ცვლილებებია

ყოველი ახალი „რეიტინგ-ლისტის" გამოქვეყნება საჭადრაკო სამყაროს გამოაცოცხლებს ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის — სწორედ ამ სიაში ასახული მაჩვენებლებით იწვევენ მოჭადრაკეებს საერთაშორისო ტურნირებში. თუ პირველ ათეულში არა ხარ, სუპერტურნირებში მონაწილეობის იმედი ნურც გექნება.

იმ „რეიტინგ-ლისტში", რომელიც ეს-ეს არის გამოქვეყნდა, გათვალისწინებულია 1 დეკემბრამდე ჩატარებული ტურნირები. ამასთან, ახლა წარმოდგენილია ორი „ლისტი". ერთს ტრადიციულად ფიდე ადგენს, მეორეს კი პროფესიული საჭადრაკო ასოციაცია. როგორც ყოველთვის, სია ოთხია: ვაჟთა, ჭაბუკთა, ქალთა და გოგონათა.

ვაჟთა სიას უკვე 13 წელია სათავეში უდგას მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი. იგი ახლაც პირველ ადგილზეა როგორც ფიდეს, ისე პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ცხრილში. პირველში კასპაროვს 2795 პუნქტი აქვს, მეორეში 2809. რახან ლას-პალმასის სუპერტურნირი დეკემბერში გაიმართა, მისი შედეგები ახლა გათვალისწინებული არ არის, თორემ კასპაროვი უკვე 2800-ს გადააჭარბებდა. მეორე ადგილზეა ინდოელი ოსტატი ვიშვანათან ანანდი – 2765 (პსა-ს ცხრილში – 2779). ასეთ მაღალ პოზიციაზე ანანდი პირველად მოხვდა. ასევე პირველად უკან დაიხია ანატოლი კარპოვმა და მესამე ადგილზე გადავიდა. მისი ახლანდელი მაჩვენებლებია 2760 და 2710. აქ ისიც გავითვალისწინოთ, რომ დეკემბერში კარპოვს ლას-პალმასში დიდი ჩავარდნა ჰქონდა და მისი მაჩვენებლები მომავალ სიაში (თუ მანამდე რომელიმე დიდი გამარჯვება არ მოიპოვა) კიდევ უფრო გაუარესდება.

აი, კიდევ ვინ შედის პირველ ათეულში: 4. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2740 და 2743), 5. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2740 და 2725), 6. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2725 და 2733), 7. გატა კამსკი (აშშ, 2720 და 2701), 8. ბორის გელფანდი (ბელარუსი, 2700 და 2688), 9. ალექსეი შიროვი (ესპანეთი, 2690 და 2684), 10. ნაიჯელ შორტი (ინგლისი, 2690 და 2696).

მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა სიაში ამდენი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა ლეგენდარული ამერიკელი რობერტ ფიშერი, რომლის მაჩვენებლებია ფიდეს რეიტინგით 2780 და პსა-ს რეიტინგით 2594. ამასთან, ფიშერის გვარი მოხსენებულია განცალკევებით, ნომერი საერთო სიაში მას მიკუთვნებული არა აქვს.

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეს ზურაბ აზმაიფარაშვილს ამჯერად 22-ე ადგილი უკავია. მისი მაჩვენებლებია 2650 და 2618. ამასთან, მომავალ „რეიტინგ-ლისტში", რომელიც 1 ივლისისათვის გამოქვეყნდება, ზურაბმა მაღლა უნდა აიწიოს – მან ხომ ძლიერი შემადგენლობის ტურნირი მოიგო ლინარესში. 71-ე ადგილზეა გია გიორგაძე (2595 და 2580). გიამ ესპანეთში ძლიერ ტურნირში გამარჯვების შემდეგ ასევე წინ უნდა გადაინაცვლოს. ზურაბ სტურუას მონაცემებია 2560 და 2579, ეს 149-ე ადგილია.

ალრე ჩვენ ვწერდით იონა (ზურაბ) ქოსაშვილზე (ისრაელი). მისი ახლანდელი მაჩვენებლებია 2560 და 2606, 154-ე ადგილი.

ყველა ნომინაციაში, ვაჟებს გარდა, მხოლოდ ერთი მაჩვენებელი აღინიშნება – ფიდეს რეიტინგი.

ჭაბუკების სიაში პირველ ადგილზეა ყოფილი თბილისელი, ამჟამად პრაღაში მცხოვრები, ხომხეთის წარმომადგენელი სერგო მოვსესიანი – 2630. ამავე სიაშია მოსკოვში მცხოვრები ქართველი მიხეილ ქობალია, რომელზეც „ლელო" არაერთხელ წერდა, მეშვიდეა – 2545, ხოლო გიორგი ყაჭეიშვილი კი მეთოთხმეტე – 2505.

ქალთა „რეიტინგ-ლისტში", როგორც ყოველთვის, მტკიცე პოზიცია აქვთ ქართველებს. გადავხედოთ პირველ ათეულს: 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი) – 2645, 2. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) – 2565, 3. პია კრამლინგი (შვეცია) – 2545, 4. მაია ჩიბურდანიძე – 2535, 5. ნანა იოსელიანი – 2510, 6. ხიე ჟუნი (ჩინეთი) – 2500, 7. ჯუ ჩენი (ჩინეთი) – 2495, 8. ქეთევან არახამია – 2490, 9. სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) – 2475, 10. სოფია პოლგარი (უნგრეთი) – 2470.

დიდი პროგრესი აქვს ჩვენს ახალგაზრდა დიდოსტატ ნინო ხურციძეს, რომელიც უკვე მე-13 ადგილზე გავიდა – 2430. 29-ე ადგილზეა მეორე ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი – 2385. 33-ე ადგილზეა ქეთევან კახიანი (გერმანია) – 2375, 35-ე ადგილზე – ნინო გურიელი – 2375. უძლიერესთა რიგებში პირველად გამოჩნდა ნატო ჟღენტი? – ეძგვერაძე – 2355, 49-ე ადგილი.

გოგონების სიას უკრაინელი ტატიანა ვასილევიჩი ლიდერობს – 2425. აქვე კიდევ ერთხელ არის წარმოდგენილი მაია ლომინეიშვილი, ცხადია, იმავე რეიტინგით – 2385. იგი მეხუთე ადგილზეა.

8 ტურის შემდეგ

ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) გრძელდება დიდი ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

8 ტურის შემდეგ ჩინებული შედეგით – 6 ქულით წინ არის ახალგაზრდა ჰოლანდიელი დიდოსტატი იერუნ პიკეტი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა). 5-5 ქულა აქვთ ვალერი სალოვსა (რუსეთი) და ალექსანდრ ონიშჩუკს (უკრაინა).

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან

● მძლეოსნობა

ჩეხმა ჰოკით მხტომელმა დანიელა ბარტოვამ გააუმჯობესა თავისივე კონტინენტის რეკორდი. ამიერიდან ევროპის საუკეთესო შედეგი 431 სანტიმეტრია.

35 წლის გერმანელმა მორბენალმა კატრინ დერემ მეოთხედ გაიმარჯვა ოსაკის (იაპონია) ქალთა საერთაშორისო მარათონში. გრილი ამინდის მიუხედავად მან შვიდი წამით გააუმჯობესა თავისივე შარშანდელი მაჩვენებელი — 2:25.57. პირველად დერემ ოსაკაში ჯერ კიდევ 1984 წელს გაიმარჯვა, მაშინ იგი გდრ-ს ნაკრების ღირსებას იცავდა.

ოკლენდის საერთაშორისო შეჯიბრებაში ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ლუისი 100 მეტრზე გარბენში მხოლოდ მეშვიდე იყო. გაიმარჯვა დევიდ ოუკსმა — 10,28 წ. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ 35 წლის ლიუისმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ გადაწყვეტილი აქვს მალე დაამთავროს სპორტული კარიერა.

● ცურვა

მალმეში (შვედეთი) დამთავრდა მსოფლიო თასის ეტაპი მოკლე დისტანციებზე. მასპინძელი ქვეყნის მოცურავე ქალმა ლუიზა კარლსონმა 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმეორა თავისივე მსოფლიო რეკორდი — 1.01.03, ხოლო გერმანელმა ვაჟმა იორგ ჰოფმანმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა ევროპის რეკორდი — 7.36,24.

● ციგურები

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებულმა გერმანელმა გუნდე ნიმანმა შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპებზე ერთბაშად ორ დისტანციაზე გაიმარჯვა — 1500 და 3000 მეტრზე რბოლაში. ვაჟებში, 1500 მეტრზე პირველი იყო იეროენ სტრაატხოფტი (ჰოლანდია), 5000 მეტრზე — ჩემპიონი მისი თანამემამულე ბობ დე იონგი გახდა.

აფრიკამ ამხანაგურად ევროპას სძლია

წლევანდელი წელი რასიზმთან ბრძოლის წლადაა გამოცხადებული. ცხადია, ფიფამაც დაგეგმა ამასთან დაკავშირებით თავისი ღონისძიებები. ერთ-ერთი ასეთი შედგა ოთხშაბათს, ლისაბონში, სადაც ჩატარდა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ევროპისა და აფრიკის ნაკრებებს შორის. მაგრამ ევროპული ნაკრების სელექციონერებმა რინულს მიხელსმა და ბერტი ფოგტსმა, ისევე როგორც აფრიკელმა კოლეგებმა რაბახ მაჯერმა და მავადე ვადემ ვერ შეძლეს თავი მოეყარათ მართლა უძლიერესი მოთამაშეებისთვის. ასე, ევროპის ნაკრებში ვერ ვიხილეთ „იუვენტუსის" ფეხბურთელები, აფრიკელებმა კი მოისაკლისეს ლიბერიელი ჯორჯ ვეა და კამერუნისა და ზამბიის მოთამაშეები.

ლისაბონის მატჩში აფრიკელებმა გაიმარჯვეს 2-1. გადამწყვეტი ბურთი ლისაბონის „სპორტინგის" ნახევარმცველმა, მაროკოელმა მუსტაფა ჰაჯიმ გაიტანა.

უჩვეულო სანახაობა „მილანმა" მოიგო

ექსპერიმენტებს ფეხბურთში რა გამოლევს. ამსტერდამშიც მოსინჯეს სიახლე: „აიაქსის" შარშან გახსნილ სტადიონზე, შემცირებული ზომის მინდორზე ექვსკაციან ფეხბურთში გრანდები შეებრძოლნენ — მასპინძელთა გარდა „მილანი", „ლივერპული" და „გლაზგო რეინჯერსი".

„აიაქსმა" „რეინჯერსი" დაამარცხა 6-2, „მილანმა" — „ლივერპული" 5-0, შემდეგ „აიაქსმა" და „მილანმა" ფრედ ითამაშეს 2-2, „რეინჯერსმა" კი „ლივერპულს" მოუგო 7-3. „ლივერპულმა" „აიაქსთანაც" წააგო 1-8. ბოლოს „მილანმა" „რეინჯერსთან" ფრედ ითამაშა – 3-3.

მაშასადამე, ამ არაჩვეულებრივი შეჯიბრების პირველ ეტაპზე „აიაქსმა" 7 ქულა მოაგროვა, „მილანმა" – 5, „რეინჯერსმა" – 4, „ლივერპული" კი უქულოდ დარჩა.

ასპარეზობის დასკვნით ეტაპზე, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში „რეინჯერსმა" ინგლისელთა გუნდი დაამარცხა 4-3. ფინალში კი „მილანმა" „აიაქსს" სძლია, 6-2 და საპრიზო 200 ათასი დოლარი მიიღო.

მობრძანდით, თავადო!

გახსოვთ, ასე მიმართავს კინოფილმ „ქეთო და კოტეში" მდიდარი ვაჭარი მაკარ კოტრიაშვილი (მსახიობი შალვა ღამბაშიძე) თავად ლევან ფანტიაშვილს (პეტრე ამირანაშვილი).

ჩვენც ხშირად ვხმარობთ ამ სიტყვებს — „მობრძანდი, თავადო"! — როდესაც „ლელოში" აგული დადიანი გვეწვევა ხოლმე. აი ახლაც: სანდომიანმა, დარბაისელმა, წარმოსადეგმა (კინაღამ ვთქვით — „ახალგაზრდა") კაცმა შემოაღო ჩვენი რედაქციის კარები. არადა, აგული უკვე 80 წლისაა. გასულ წელს, 25 დეკემბერს, შეუსრულდა ეს მრგვალი საიუბილეო თარიღი.

... არ მახსოვს არც ერთი დიდი სპორტული შეჯიბრება თბილისში, რომ იგი პრესის ლოჟაში ჩვენს გვერდით არ ყოფილიყოს — ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს" სტადიონია ეს თუ სპორტის სასახლე, საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტი, კალათბურთის კომპლექსი, ველოტრეკი თუ ტანვარჯიშის დარბაზი. მუდამ საქმეშია, მუდამ კალმისტრითა და ბლოკნოტით ხელმომარჯვებული. მერე უცებ გავარდება „კულისებში" და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ბრუნდება ჩვეულ ადგილზე: „პირველი ტაიმის მასალა უკვე გადავეცით ტელეტაიპით!" ასე იყო წლების მანძილზე, მთელი 45 წლის განმავლობაში.

საკუთარი წარმოშობა მუდამ ეამაყება. რატომაც არა! „წმიდა სისხლის" თავადი გახლავთ! სამეგრელოს მთავრების — თავად დადიანების შთამომავალი. მამამისი — ბატონი კონსტანტინე (მოხდენილი — ჩოხა-ახალუხით რომაა გადაღებული ძველ ყავისფერ ფოტოსურათებზე), პეტერბურგის პაჟთა კორპუსის კურსდამთავრებული იყო. ოთხი წელიწადი დაჰყო ნევისპირეთზე და სამხედრო ფორტიფიკაციის დარგის ჩინებულ სპეციალისტად დაუბრუნდა სამშობლოს. ძლიერ ნოსტალგიას განიცდიდა თურმე, სანამ ჩამოვიდოდა საქართველოში. დაუბრუნდა მიწა-წყალს და დაოჯახდა კიდეც — მშვენიერი ასული, თავადის ქალი პაუსია დგებუაძე შეირთო. ოჯახში კარგად ლაპარაკობდნენ ფრანგულ, რუსულ და, წარმოიდგინეთ, ძირძველ ლაზურ ენაზე.

● *შენ კი რა მოგივიდა, ჩემო აგული, რუსულში რომ, ცოტა არ იყოს, „მოიკოჭლებ"?*

— ეს იმიტომ, რომ მუდამ ქართულად ვსწავლობდი — სკოლაში, ტექნიკუმში, უნივერსიტეტში, სამეზობლოდაც სულ ქართველები მყავდა, ასევე ქართულ გაზეთში ავიდგი ფეხი, როგორც ჟურნალისტმა...

● *ვიცი, რომ ერთ დროს მსახიობობდი...*

— ჩემი ოცნება იმთავითვე კინორეჟისორობა იყო. ვერ ავისრულე საწადელი. აი, მსახიობი კი მართლაც ვიყავი. თავდაპირველად კინომსახიობთა სტუდიაში ვსწავლობდი ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის რჩევით. ერთხელ მე, კიტო ბარამიძემ და ოთარ ჭიაურელმა — მიხეილ ჭიაურელის უფროსმა შვილმა (იგი მშვენიერი რეჟისორ-დოკუმენტალისტი იყო) ფუნიკულიორის რესტორანში დავპატიჟეთ თბილისში სტუმრად მყოფი ცნობილი კინორეჟისორი სერგეი გერასიმოვი და მისი მეუღლე, პოპულარული კინომსახიობი თამარ მაკაროვა. გერასიმოვი დამპირდა, რომ სტუდიის დამთავრების შემდეგ წამიყვანდა მოსკოვში თავის სახელოსნოში სასწავლებლად. ომმა შემიშალა ხელი, ჯარში წავედი...

● *ომის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გახდი. მხიარული წიგნიც დაწერე მსახიობებზე — „ხელოვნების ოსტატები იცინიან"...*

— თეატრის მაშინდელმა დირექტორმა ივანე გვინჩიძემ (ჩვენი დიდებული მძლეოსნის ელენე გოკიელის მეუღლე გახლდათ) თავიანთ დასში ჩამრიცხა. ორი წელიწადი დავყავი მარჯანიშვილელებს შორის. რამდენიმე პატარ-პატარა როლი ვითამაშე: ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში" — მეფის ნაცვლის ვორონცოვის ადიუტანტი და ექიმი, ლევან გოთუას „მეფე ერეკლეში" — ლევან ბატონიშვილი და მისივე „დავით აღმაშენებელში" — ხარდალი ივანე ორბელი, ალექსანდრე სამსონიას „ბაგრატიონში" — ბაგრატიონის ადიუტანტი და სხვ. რეჟისორებმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა და ვასო ყუშიტაშვილმა შემაქეს, გული მომეცა. ამას მოჰყვა ენერგიული რეპეტიციები მიხეილ ლერმონტოვის „მასკარადზე" (რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი) მუშაობისას. სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ, ზვეზდიჩის როლზე, დიდებული გიორგი შავგულიძე შეარჩიეს, მაგრამ ბატონი ჟორა მოულოდნელად ლენინგრადს გაემგზავრა, სადაც კინოფილმ „დავით გურამიშვილს" იღებდნენ. მის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატურა დაასახელეს. ყველასათვის მოულოდნელად პიერ კობახიძემ განაცხადა: „ჩემი აზრით, ამ როლში ყველას ეს ახალგაზრდა (აგული დადიანი – ო.ნ.) აჯობებს თუნდაც იმიტომ, რომ ზვეზდიჩივით ისიც დაბადებით არისტოკრატია!" რეპეტიციები საკმაოდ კარგად წარიმართა. ჩემთან ერთად კიდევ ორ მსახიობს ამზადებდნენ. რატომღაც მეგონა, რომ რეჟისორი უპირატესობას ერთ-ერთ მათგანს ანიჭებდა. ცოტა არ იყოს, გული მომივიდა და გადავწყვიტე, რომ თუ მე არ მათამაშებდნენ, თეატრიდან წავიდოდი. ამასობაში გიორგი შავგულიძეც დაბრუნდა თბილისში, დაესწრო ჩვენს რეპეტიციას, მერე გვერდზე გამიხმო და მითხრა: „გავიგე, წასვლას აპირებ თეატრიდან? არადა, კარგად გამოგდის ეს როლი. გირჩევ, ნუ აჩქარდები!". მაგრამ მე უკვე რა დამაკავებდა და მალე კინოსტუდიაში გადავედი. აქაც ორი წელიწადი ვიმუშავე სანამ კინომსახიობთა შტატები გააუქმეს. უმუშევარი დავრჩი, 1949 წელი იყო.

● *ესე იგი, 33 წლისა იყავი და... ამ დროს, როგორც ეს ზღაპრებში ხდება ხოლმე, ვიღაც კეთილი ძია გამოჩნდა...*

— დაახლოებით ასე იყო, ოღონდ... კეთილი ძიის მაგივრად — კეთილი დეიდა! იგი ლიზიკო ბაგრატიონი გახლდათ, გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების თანამშრომელი. გაზეთის რედაქტორმა გერასიმე ფირცხალავამ შტატგარეშე კორესპონდენტად ჩამრიცხა. ძირითადად ინფორმაციებს ვწერდი ჩემთვის კარგად ნაცნობ თეატრალურ ცხოვრებაზე, ზოგჯერ პატარ-პატარა რეცენზიებსაც ვამზადებდი ახალ წიგნებზე. ქალბატონი ლიზიკო ბევრს მეხმარებოდა, მისწორებდა ტექსტს, დავალებებს მაძლევდა. სამი თუ ოთხი თვე დავყავი აქ, სანამ ბორის შატბერაშვილმა თავისთან საქინფორმში არ გადამიყვანა. მთარგმნელთა ჯგუფში ჩამრიცხეს ღამის ცვლის რედაქტორად. დაახლოებით ნახევარი წელიწადი ვიმუშავე ამ თანამდებობაზე და მერე ლიტმუშაკად გადამიყვანეს. სპორტისა და კულტურის საკითხების გაშუქება დამავალეს. ამ ადგილზე ჩემი წინამორბედი ძველი ჟურნალისტი აპოლონ მონიავა იყო, რომლისგანაც მე ბევრი რამ ვისწავლე ჯერ კიდევ მთარგმნელად მოღვაწეობის დროს. ორ ენაზე მიხდებოდა წერა — ქართულად და რუსულად. — ხეირიანად მაინც ვერ ვისწავლე უცხო ენა.

● *კინოფილმ „ქეთო და კოტეში" მოგკარით თვალი...*

— თავდაპირველად თავადი ლევანის ამალაში უნდა მეთამაშა იაშა ტრიპოლსკისთან, გოგი გელოვანთან, ოთარ კობერიძესთან, ჟორა ქორიძესთან, ზურაბ ლეჟავასთან, რეზო იაშვილთან ერთად. საგანგებო ჩოხა-ახალუხიც შემიკერეს, მაგრამ გამოირკვა, რომ „ჩოხოსნები" საჭიროზე მეტია, აი „ფრაკოსნები" კი...ერთი სიტყვით, ახლა სასწრაფოდ უკვე ფრაკი შემიკერეს. ასე მოვხვდი კოტეს „გუნდში" ედიშერ მაღალაშვილთან, ანდრო კობალიძესთან, ვახტანგ ფირცხალავასთან და გიორგი თოლორდავასთან ერთად.

● *ვეებ ახლა თქვენი სპორტით გატაცების შესახებ ვისაუბროთ, მერე კი ისევ დავუბრუნდეთ ჟურნალისტურ მოღვაწეობას?*

— ჩემპიონი არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა სპორტი ბავშვობიდანვე მიყვარდა, განსაკუთრებით ტანვარჯიში, მძლეოსნობა, კალათბურთი და ფეხბურთი. ტანვარჯიშზე ყოფილ ბებუთოვის (ახლა ლადო ასათიანის) ქუჩაზე მდებარე დარბაზში დავდიოდი მწვრთნელ კოტე თუშმალიშვილთან, მერე პირველი საცდელი სკოლის დარბაზში გავაგრძელე ვარჯიში მწვრთნელ თომა ფიცხელაურთან, რომელთაც ნაცნობმეგობრები მოფერებით „ბაჩონკას" ეძახდნენ სიმსუქნის გამო. ყველაზე მეტად ორძელი და ღერძი მიყვარდა. ვცდილობდი მიმებაძა არჩილ ბაქრაძისა და გულო რცხილაძისათვის, პავლე რომანიშვილისათვის, შურა ჯორჯაძისათვის, გოგლიკა ბაბილოძისათვის, კოკა თაყაიშვილისათვის. ძალიან მომწონდა ვახტანგ მარსაგიშვილისა და ბიბი ქარცივაძის ვარჯიშიც. სამი წელიწადი ვიარე ტანვარჯიშზე. ესაა რომ „ტანი დავიყენე" მხოლოდ. მერე მძლეოსნობაზე გადავედი დიმიტრი მიქაბერიძესთან. ახლა ახალი კერპები გამიჩნდა—დიმიტრი იოსელიანი, გიორგი შხვაცაბაია, გაბრიელ ათანელოვი, გივი კილაძე. „დინამოს" სტადიონზე ვვარჯიშობდით დილის 9 საათიდან; ზუსტად ამ დროს მწვანე მინდორზე ოთხი ბურთი გამოგორდებოდა ხოლმე, უკან ბორის პაიჭაძე, ალექსანდრ დოროხოვი, გრიგოლ გაგუა და ვიქტორ ბერეჟნოი მოყვებოდნენ. ეს ოთხეული ყოველდღე ზუსტად 9 საათზე იწყებდა დამოუკიდებელ ვარჯიშს თავიანთი გუნდის ძირითადი ვარჯიშის დაწყებამდე. ჩვენ საათებს ვასწორებდით მათ გამოჩენაზე. მძლეოსანთა ჯგუფში ბიჭებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტანმაღალი თემო მაჩაბელი, შემდგომში ცნობილი ფიზკულტურული მუშაკი. რაც შემეხება მე, ყველაზე უკეთ სამხტომი და თარჯრბენი გამომდიოდა. ორივე სახეობაში პირველი თანრიგი შევასრულე. 1938 წელს პირველად ვიასპარეზე რესპუბლიკის გარეთ, ხარკოვში. ეს იყო,ეგრეთ წოდებული, სკიფ-ის (კინოსა და ფოტომუშაკთა საზოგადოება) საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა, მე კი კარლო ინასარიძესთან (იგი დღეს მიუნხენში ცხოვრობს, ცნობილი თეატრმცოდნე და პუბლიცისტია) ერთად პირველი-მეორე ადგილები გავიყავით სამხტომში. ვიცი, რომ ჩვენს შესანიშნავ „ოქროს" ოლიმპიელს ვიქტორ სანეევს გაეცინება იმ შედეგზე – 12,20 მეტრი! მომდევნო წელს ზემოხსენებული შეჯიბრება როსტოვში გაიმართა. ამჯერად მე საპრიზო ადგილის მიღმა დავრჩი, ჩვენი გუნდიც მხოლოდ მეექვსე ადგილზე გავიდა, რადგანაც სრული შემადგენლობით ვერ ჩავედით სასპარეზოდ — ოთხი ქალის ნაცვლად ერთი გვყავდა წაყვანილი. მოგვიანებით, 1945 წელს, მარჯანიშვილის თეატრში მუშაობისას კალათბურთელთა ერთ-ერთ ტურნირშიც მივიღე მონაწილეობა ზურაბ ლაფერაძესთან, გოგი ტატიშვილთან, ავთო ვერულეიშვილთან, ოთარ ბახტაძესთან, გერმანე გვენეტაძესთან ერთად. პარტნიორები მიქებდნენ თამაშს —გასვლას ფარქვეშ, განსაკუთრებით მარჯვნიდან. მაგრამ, მე რომ მკითხო, დიდი არაფერი ვიყავი. ისე, ფეხბურთსაც ბევრს ვთამაშობდი, და იცით სად? „სობორის" (ტაძრის) ეზოში, დღეს რომ მთავრობის სახლი დგას. ბიჭებს აქ ბევრი სახელგანთქმული ოსტატის თამაში გვინახავს —ანდრო ჟორდანიას, „ფსიშკა" ვაჩნაძის, ანდრო ფოჩხუას, კაკო ყალიჩავას, ვახტანგ რამიშვილის, ალიოშა პაპკოვის, ილია პანინის, ნიკოლაი ანიკინის, გიორგი ბალდოევის, შურა ნაეროზაშვილის და სხვათა. ჩვენი გუნდის — ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეები — კაპიტანი ცენტრალური თავდამსხმელი ბორის ჩიტაია იყო, მე მარჯვენა ინსაიდს ვთამაშობდი. როგორც გითხარით, დიდი არაფერი სპორტსმენი ვიყავი, მაგრამ სპორტი მართლაც დიდად დამეხმარა ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობაში, ასე განსაჯეთ, მოსკოვის ოლიმპიადის პრეს-ცენტრში მუშაობის დროსაც.

„ოთხი თავადი" – (მარცხნიდან) აგული დადიანი, არჩილ წერეთელი, ლევან ფალავანდიშვილი და მერაბ ბაგრატიონი – თბილისის სპორტის სასახლეში კალათბურთში ევროპის 1965 წლის ჩემპიონატის თბილისის ჯგუფის ტურნირზე.
ფოტო აგული დადიანის არქივიდან.

● *ალბათ, დროა ისევ თქვენს ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე გადავერთოთ. ვეებ რაიმე კურიოზული ამბავი გვიამბოთ?*

— თბილისში საკავშირო ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩში ერთხელ ერთმანეთს კიეველი და მინსკელი დინამოელები შეხვდნენ. მინსკელთა მცველი ედუარდ ზარემბო გამუდმებით, ამასთან, მეტად ეშმაკურად, ურტყამდა ფეხებში კიეველთა ცენტრალურ თავდამსხმელს ანატოლი ბიშოვეცს. რამდენჯერმე წააქცია კიდეც ბალახზე. კიეველმა ვერ მოითმინა და მცველს გემრიელად ლეწა ლოყაში. ცხადია, გააძევეს თამაშიდან. ათმა უკრაინელმა მაინც მოიგო მატჩი. მე მოსკოვში „ტასს" ასეთი ტექსტი გადავეცი: „უხეშობაში გამობრძმედილი ზარემბო ისე „წარმატებით" იჭერდა ბიშოვეცს, რომ მსაჯი მხოლოდ პატარ-პატარა ტექნიკურ ჯარიმებს აძლევდა მინსკელს". მოსკოვში თურმე ერთი ამბავი ამტყდარა: „როგორ შეიძლება, საბჭოთა სპორტსმენი უხეშობაში იყოს გამობრძმედილი? რბილად რომ ვთქვათ, ეს უხერხულიცაა"! ცხადია, ჩემი ტექსტი იქვე „გაასწორეს". მახსენდება ერთი რამ: 1965 წელს, როგორც ცნობილია, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი (თბილისის ჯგუფი) კალათბურთში. ჩვენ, საქინფორმის კორესპონდენტებმა მაშინ 25 მასალა გადავეცით მოსკოვში და... 25 ოფიციალური მადლობა მივიღეთ. იმხანად სატელეგრაფო სააგენტოს ჟურნალისტებისაგან დიდ ოპერატიულობას მოითხოვდნენ. ამიტომ იყო,რომ ყველა საერთაშორისო თუ მნიშვნელოვან საკავშირო შეჯიბრებაზე საგანგებო ტელეტაიპი გვქონდა დადგმული — თბილისი იყო ეს თუ ბაკურიანი, „დინამოს" სტადიონი, სპორტის სასახლე თუ რუსთაველის თეატრი, სადაც, როგორც იცით, ერთხელ საკავშირო ჩემპიონატიც კი გაიმართა ჭადრაკში. კალათბურთელთა ტურნირზე სხვებთან ერთად გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას" კორესპონდენტიც იყო აკრედიტებული. ჩვეულებისამებრ ჩვენ ოპერატიულად გადავეცით მასალა „ტასს"-ში. მერე ამ ჟურნალისტმაც დარეკა მოსკოვში თავის რედაქციაში, მაგრამ იქიდან უთხრეს, რომ მასალა კალათბურთზე თბილისიდან რა ხანია მიიღეს და ნურაფერს ნულარ დაუმატებს. მთლად გადაირია, მოგვვარდა და ჩხუბი დაგვიწყო: „ეს არაკოლეგიალურია! რატომ არ შემითანხმეთ მე?. ამ დროს „პრავდის" საკუთარი კორესპონდენტი გიორგი ლებანიძე გამოჩნდა: „შე კაი კაცო, — უთხრა სტუმარს, — უცხოელი გაზეთებისა და სააგენტოების კორესპონდენტები მადლობას უხდიან ჩვენს ჟურნალისტებს ზეოპერატიულობისათვის (რაც საშუალებას იძლეოდა კალათბურთის მასალა დილის გაზეთებში მოხვედრილიყო), შენ კი რაღაც უცნაური პრეტენზიებით გამოდიხარ აქ. ნაკლებად უნდა იჯდე პრესცენტრის ბუფეტში!".

ოთარ ნოზაძე

აუქციონი | აუქციონი

მეცენატებმა იხსნეს ქართული ფეხბურთი!

ამას წინათ რუმინეთში გასაოცარი ამბავი მოხდა: პროვინციული საფეხბურთო კლუბის მეპატრონემ, გვარად აურელ რუსუმ გადაწყვიტა გუნდის მთავარ მწვრთნელად და მოთამაშედაც თავისი შვილი ლუკიანე დაენიშნა. აბა, რა გასაკვირი ამბავი ეს არისო, იტყვის მკითხველი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლუკიანე მხოლოდ 6 თვისაა (!). მამამისმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ბიჭუნა დიდი ფეხბურთელი უნდა გამოვიდეს, ამიტომ გადავწყვიტე ამ თამაშისათვის იგი ადრეულ ასაკშივე მეზიარებინა“.

ხუმრობა იქით იყოსდა, საფეხბურთო კლუბის ნორმალური ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული მისი მეპატრონის შორსმჭვრეტელ, გონიერ საქმიანობაზე. საქართველოს მაგალითი ავიღოთ.

საქართველო

ის, რომ ჩვენს ომგადახდილ, სასტიკ ეკონომიკურ კრიზისში მოქცეულ ქვეყანაში ფეხბურთი მაინც არსებობს, მათი დიდი დამსახურებაა. გავიხსენოთ ზოგიერთის საქმიანობა.

დღესაც თერჯოლაში მადლიერებით იხსენებენ ადგილობრივი ავტოსაწარმოს თავკაცის, ფეხბურთის დიდი მოამაგის ზაურ ბაბრიჭიძის თავდადებულ მოღვაწეობას. სწორედ მის სახელს უკავშირებენ ადგილობრივი „საპოვნელას“ აღზევებას: საშუალო დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა და მრავალ ცნობილ მეტოქეს „კუდით ქვა ასროლინა“. გაბრიჭიძის მეცადინეობით კეთილმოეწყო სტადიონი, აღორძინდა ბავშვთა ფეხბურთი, მოსახლეობაც – უსაქმოდ ხეტიალის ნაცვლად სპორტულ სარბიელს მიეძალა.

ასე იყო ნაფარეულშიც, სადაც ადგილობრივ საფეხბურთო კლუბს აგროფირმის გენერალური დირექტორი მერაბ ხიდაშელი პატრონობდა. კომერციულ საქმიანობაში ნაშოვნ ფულს იგი გუნდს ახმარდა, ააშენა დიდებული სტადიონი ორი სათამაშო მინდვრით, გასახდელებით, სასტუმროთი, ელექტროგანათებით (!). მაგრამ მოვიდნენ უკანონო საჯარისო ფორმირებები და ასეთი წვალებით აშენებული სპორტული ბაზა სულ გააპარტახეს, ხიდაშელი კი სამსახურიდან დაითხოვეს. ცხადია, უპატრონოდ დარჩენილმა საფეხბურთო კლუბმა არსებობა შეწყვიტა. თავშესაქცევის გარეშე დარჩენილმა მოსახლეობამაც ქალაქისაკენ გასწია.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. იქ, სადაც კლუბის მეპატრონე თავის სიმაღლეზე დგას, ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას. ასეა თბილისის „მერანი-91“-ში, სადაც კლუბს უნარიანად ხელმძღვანელობს პარლამენტარი ნუგზარ ნავაძე. იგივე ითქმის თბილისის „დინამოზეც“: მერაბ ჟორდანია და კლუბის დირექტორატი მზრუნველობას არ აკლებენ კოლექტივის წევრებს და იმისდა მიუხედავად, რომ ყოფითი პრობლემებისაგან შეწუხებული ფეხბურთელთა ნაწილი ყოველწლიურად ტოვებს გუნდს, იგი მაინც ფენიქსივით აღორძინდება ხოლმე და შეძლებისდაგვარად ღირსეულად წარმოაჩენს ქართულ ფეხბურთს საერთაშორისო არენაზე.

ასეა ახლაც, შემადგენლობანაკლულმა „დინამომ“ მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს თასის ჯგუფური ტურნირი მოიგო და მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხდა. როგორც იტყობინებიან, რუსეთის კლუბების სელექციონერებმა ბევრ ჩვენს ახალგაზრდას დაადგეს თვალი. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს გიორგი დემეტრაძე. მისი შეძენის სურვილი, თურმე, უკვე გამოუთქვამთ მოსკოვის „სპარტაკს“, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“. „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტი და დირექტორატის წევრები მოსკოვში ფეხბურთელებს დაჰფოფინებენ და რომ იტყვიან „ცივ ნიავს არ აკარებენ“.

იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისის „ტორპედოს“ ახალ მეპატრონე, „სიგმაბანკის“ მმართველ ბესიკ ჯიქიაზე. მართალია, სულ რაღაც თვეა, რაც იგი კლუბში მოგვევლინა, მაგრამ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო: მოაწესრიგა ფეხბურთელთა და მწვრთნელთა შრომის ანაზღაურების საკითხი, შეარემონტა და კეთილმოაწყო ბაზა. არიქა, ქუთაისელებს მაგარი პატრონი გამოუჩნდაო – „ტორპედოს“ რიგებში თამაშის სურვილი გამოთქვეს მარგველებმა ლევან ქებაძემ და როინ მარღიშვილმა, ძმებმა ხუჯაძეებმა, სამტრედიელებმა პაატა ლურსმანაშვილმა და ვახტანგ ხვადაგიანმა, სიონელმა კონსტანტინე მეტრეველმა. ცალკე აღნიშვნის ღირსია შალვა ხუჯაძის საკითხი. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ამ წევრს ფოთის „კოლხეთი-1913“-თან კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ შალვას თქმით, „ყელში ამოუვიდა ხელფასებისა და პრემიების დიდი დაგვიანებით მიღება, სხვა მოუგვარებელი ყოფითი პრობლემები და ვინაიდან ფოთელთა კლუბმა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები არ შეასრულა, კოლექტივის გამოცვლა მოუწევს. ნურას უკაცრავად, უთხრეს ფოთელებმა, კონტრაქტის ვადა ჯერ არ გასულია და ჩვენთან უნდა დარჩეო. ამიტომ მათ ურჩ ფეხბურთელს განთავისუფლების ქაღალდი არ მისცეს. მოდავეთა საკითხი სფფ-ის სატრანსფერო საკითხთა კომისიაზე გაირჩა, სადაც ფოთელთა კლუბს დაევალა 10 თებერვლამდე ხუჯაძეს შეუსრულოს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები. ვნახოთ, საბოლოოდ რა მოხდება.

ზემოთ ვახსენეთ, ქუთაისელთა გუნდში თამაშის სურვილი გამოუთქვამთ სამტრედიელებს ლურსმანაშვილსა და ხვადაგიანს. მათს გარდა „სამტრედიის“ კლუბის პრეზიდენტის ტარიელ ჩაჩუას თქმით, გუნდი დატოვეს მეკარე ჭანტურიამ, ბერიშვილმა, გვასალიამ, პავლიაშვილმა, პეტრიაშვილმა. კოლექტივში მატებაცაა – ნიგერიელი ბარი სალამი, ფოთელი პაპავა, ლანჩხუთელი სიხარულიძე, რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშე. გუნდს კვლავ ადგილობრივი მწვრთნელები უდგანან სათავეში – ქორიძე, დვალიშვილი და გენძეხაძე. „სამტრედია“ ამჟამად თავის ბაზაზე – დიდ ჯიხაიშში ემზადება, თებერვალში კი ანტალიაში გაემგზავრება შეკრებაზე.

გარკვეული ცვლილებებია „თსუ-შევარდენშიც“. როგორც ვიტყობინებოდით, მცველ დიმიტრი ვერემჩუკს განეზრახა გერმანიის რომელიმე მეორეხარისხოვან გუნდში გადასვლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა სეზონი თბილისურ კლუბში ჩაამთავროს. იგივე გეგმები ჰქონდა ხაშურის „ივერიის“ თავდამსხმელ ჰამლეტ წივწივაძეს, მაგრამ ჯერჯერობით სამშობლოში დარჩენა არჩია. სავარაუდოდ ისიც უნივერსიტეტელთა გუნდში ითამაშებს.

აქამდე ქართველ ფეხბურთელთაგან პოლონურ საკლუბო გუნდებში მხოლოდ გია გურულსა და ზაზა რევიშვილს უთამაშიათ. და აი, ახალი ცნობაც: ხოჟუვის „რუხში“ წარმატებით გაიარა გასინჯვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ზუგდიდის „ოდიშის“ თავდამსხმელმა (ანდა შემტევმა ნახევარმცველმა) მამუკა ჯიქიამ. მას სეზონის ბოლომდე სთავაზობენ კონტრაქტს.

და ბოლოს, კვლავ ზაზა რევიშვილზე: როგორც იცით, ვლადიკავკასიის „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა იგი გასაყიდ მოთამაშეთა სიაში მოახვედრა. ამჟამად ქართველი ლეგიონერი „დინამოს“ ბაზაზე ვარჯიშობს და ახალ კლუბს ეძებს. ამას წინათ გაუწყეთ, რომ ვლადიკავკაზელები რევიშვილში 400 ათას დოლარს ითხოვენ, მაგრამ მზად არიან იგი „დინამოს“ 100 ათასად რომ დაუთმონ. მიუხედავად ამისა, ზაზას მტკიცედ გადაუწყვეტია თავისი სპორტული კარიერა რომე-


ზაზა რევიშვილი

ლიმე რუსულ კლუბს დაუკავშიროს.

მკითხველთა სამსჯავროზე გამოგვაქვს რევიშვილთან ამას წინათ რუსულ „სპორტ-ექსპრესში“ გამოქვეყნებული ინტერვიუს ნაწილი. თურმე, თბილისის „დინამომ“ მას რომ შესთავაზა გუნდში გადმოსვლა, ზაზას უთქვამს: „მე ყოფიანს ვუთხარი, რომ მინდა სერიოზული ფეხბურთი ვითამაშო. სასურველია რუსეთში. თუმცა, თუ იქ კლუბი ვერ მოვძებნე, შეიძლება „დინამოშიც“ დავრჩე. იგი მზადაა „ალანიას“ კომპენსაციის თანხა გადაუხადოს“.

უკაცრავად, ბატონო ზაზა, მაგრამ გვინდა გკითხოთ – რა, ქართული ფეხბურთი ისეთი ხელწამოსაკრავია, რომ მას არასერიოზული უწოდოთ? ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ საქართველოს ჩემპიონატში ჩამოყალიბდით, როგორც ოსტატი. ისეთ ფეხბურთს, რომელმაც შვა კახი ცხადაძე, გიორგი ქინქლაძე, ძმები არველაძეები, მურთაზ შელია, თემურ ქეცბაია და სხვანი, არავითარ შემთხვევაში არასერიოზული არ ეთქმის...

საფრანგეთი

ამ ქვეყანაში სერიოზულად არიან შეშფოთებულები – ერთბაშად ორმა ნიჭიერმა ჭაბუკმა ფეხბურთელმა, რომლებსაც იქაური კანონებით ჯერაც არა აქვთ უფლება კონტრაქტი გააფორმონ საფეხბურთო კლუბებთან, განიზრახეს საზღვარგარეთ გამგზავრება. ესენი არიან „პარი სენ-ჟერმენის“ გუნდის წევრი, 17 წლის ნიკოლა ანიელკა და „მონაკოს“ 19 წლის მოთამაშე ტიერი ანრი. ანიელკამ ინგლისურ „არსენალთან“ გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი, ხოლო ანრიმ – ოთხწლიანი – ესპანურ „რეალთან“.

რაკი „მონაკოს“ შევეხეთ, გასულ კვირას ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჟან ტიგანამ ოფიციალურად უარყო ხმები, რომ განზრახული აქვს „მილანისაგან“ ჩერნოგორიელი დეიან სავიჩევიჩის შეძენა.

ახლა „ბორდოს“ შესახებ. სატრანსფერო აჟიოტაჟი აქ ორი არგენტინელის გამო მოხდა. არგენტინული კლუბი „სან ლორენსო“ მზად არის თანამემამულე კლაუდიო ბიაჯიო გამოისყიდოს. ფეხბურთელის ფასად 6 მილიონ ფრანკს ასახელებენ. რაც შეეხება კლაუდიო კანიჯას, მას კონტრაქტი კლუბთან უკვე დაუმთავრდა და, როგორც განაცხადა, განზრახული აქვს „სამპდორიაში“ გადასვლა. კანიჯას გეგმების შესახებ რომ შეიტყვეს, „ბორდოს“ მეპატრონეებმა „კანიდან“ სასწრაფოდ შეისყიდეს 17 წლის ნახევარმცველი პიტერ ლუჟენი.

სხვა ტრანსფერები. „მეტცმა“ 1,5 მილიონი ფრანკი გადაუხადა „სტრასბურს“ ნახევარმცველ ბრიუნ როდრიგეზში. თავის მხრივ, „მეტციდან“ ლისაბონის „სპორტინგში“ გადავიდა დიდიე ლანგი, კონტრაქტი სამწლიანია.

ცვლილებებია ფოთის „კოლხეთი-1913“-ის ყოფილი მეტოქის „გენგამის“ შემადგენლობაშიც. ფრანგებმა 4,5 მილიარდი ლირას (3 მილიონი დოლარი) საფასურად „რომას“ დაუთმეს ვენსან კანდელი. შეგახსენებთ, მანამდის რომაელებმა ომარ თეთრაძეში ორჯერ ნაკლები გადაიხადეს. სამაგიეროდ, „გენგამმა“ უკვე მეორე პოლონელი შეიმატა: მარეკ იუევიაკს შეუერთდა 29 წლის ვიძეველი ნახევარმცველი რიშარდ ჩერვეცი. „მას წელიწადნახევარი ვაკვირდებოდით – განაცხადა ფრანგთა მთავარმა მწვრთნელმა ფრანსის სმერეცკიმ, – იმედი მაქვს პოლონელი წარმატებით შეცვლის სტეფან კარნოს, რომელმაც კლუბის დატოვება განიზრახა“.

გია გურულის ყოფილმა კლუბმა „ლე ჰავრმა“ ლონდონის „არსენალისაგან“ ექვსი თვით ითხოვა 27 წლის თავდამსხმელი კრის კივუმია. იგი ინგლისელთა გუნდში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ვინაიდან შეტევის ხაზში გამოდიან ცნობილი ფორვარდები დენის ბერგკამპი, იან რაიტი და ჯონ ჰარტსონი.

„ლანსს“ შვეიცარიის „სიონიდან“ კვლავ დაუბრუნდა 35 წლის ფილიპ ვერკრუისი. ეს ის ვერკრუისია, 12 მატჩი რომ ითამაშა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში.

„მონპელიემ“ მექსიკურ კლუბ „პაჩუკას“ მიჰყიდა არგენტინელი ხოსე-ლუის ვილიარეალი, ხოლო „ნიცამ“ სამშობლოში გაამგზავრა ბრაზილიელი რუბენილსონი. „ნიცაში“ სხვა ცვლილებებიცაა: მიღებულია 24 წლის პოლონელი ანჯეი კუბიცა (იგი ლიეჟის „სტანდარდში“ გამოდიოდა).


რეინალდ პედროსი

ბოლო მომენტში უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა კიდევ ერთი ახალი ამბავი გვაუწყეს – მარსელის „ოლიმპიკის“ საუკეთესო ნახევარმცველი რეინალდ პედროსი იტალიის „პარმაში“ გადავიდა. სატრანსფერო თანხა 3,6 მილიონ დოლარს უდრის. კონტრაქტი სამწლინახევრიანია.

ჰოლანდია

ხმები ხშირად მართლდება – ჰოლანდიის „აიაქსის“ მთავარ მწვრთნელად ლუის ვან გაალის ნაცვლად დაინიშნა დანიელი მორტენ ოლსენი. ფეხბურთის 47 წლის სპეციალისტი 1 ივლისიდან შეუდგება მოვალეობის შესრულებას. მანამდის ოლსენი „ბრონდბიუსა“ და „კიოლნს“ ხელმძღვანელობდა. ნაახალწლევს მას მწვრთნელობა როტერდამის „ფეიენოორდმაც“ შესთავაზა.

რაკი „ფეიენოორდს“ მივადექით, იმასაც გეტყვით, რა სიახლეებია ამ გუნდში. ამას წინათ სამხრეთ ამერიკაში შეკრებაზე მყოფმა როტერდამელებმა ორი შენაძენი გააკეთეს: „როსარიო სენტრალიდან“ 20 წლის არგენტინელი თავდამსხმელი ბუსტოს მონტოია და „რივერ პლეიტიდან“ 24 წლის მცველი, ურუგვაელი ფერნანდო ოლივარო პიკუნი შეიმატეს. ორივეს კონტრაქტი ხუთწლინახევრიანია. „ფეიენოორდის“ მწვრთნელი არი ჰაანი კმაყოფილია – ფეხბურთელები, ფაქტიურად, მუქთად ჩავიგდეთ ხელშიო. გარდა ამისა, როტერდამელი სელექციონერები ცნობილი ბელგიელი ფორვარდის ჟილ დე ბილდეს გადმოყვანასაც ლამობენ. სხვათაშორის, იგივე სურს „ეინდჰოვენსაც“. „რომელიც მეტს გადაიხდის, იქ წავალ“ – აცხადებს ბელგიელი. ბოლო მონაცემებით ბელგიელი „ეინდჰოვენმა“ „დაითრია“.

გერმანია

როგორც ეტყობა, მიხეილ ყაველაშვილი მალე მოხვდება „მანჩესტერ სიტის“ ძირითად შემადგენლობაში, ვინაიდან ინგლისელთა მთავარი დამრტყმელი ძალის უვე როსლერის შეძენა განიზრახა „შტუტგარტმა“. მას შემდეგ, რაც ბრაზილიელმა ჟოვანი ელბერმა განაცხადა, კლუბთან კონტრაქტს აღარ გავაგრძელებო, გერმანელები სულ მისი შემცვლელის ძიებაში არიან. როსლერის კანდიდატურაც მაშინ წამოტივტივდა.

„კაიზერსლაუტერნმა“, რომელიც გერმანიის მეორე ბუნდესლიგას ლიდერობს იაპონიის „ჯეფ იუნაიტედისაგან“ ერთი მილიონი დოლარის საფასურად 34 წლის ახალზელანდიელი უისტონ რუფერი შეიძინა. შეგახსენებთ, იაპონურ კლუბამდე იგი „ვერდერში“ თამაშობდა, აქ კი მისი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი იყო. სწორედ იგი უდგას ამჟამად სათავეში „კაიზერსლაუტერნს“.

რუსეთი

მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს თასის ტრადიციულ გათამაშებაზე რუსეთის კლუბების ნაკრები კონკურსგარეშე მონაწილეობს. ყველასათვის მოულოდნელად, ამ გუნდის მწვრთნელმა იგნატიევმა იაპონიის „გამბა ოსაკადან“ მოიწვია მანამდე თბილისისა და კიევის „დინამოში“, ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზში“ მოასპარეზე ახრიკ ცვეიბა. როგორც გაირკვა, 30 წლის მცველ ცვეიბას იაპონურ გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა და სურს რომელიმე რუსულ კლუბში გააგრძელოს კარიერა. იგნატიევის თქმით, იგი არ გამორიცხავს ცვეიბას რუსეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჩართვას.

როგორც ვიტყობინებოდით, „ტორპედო-ლუჟნიკებს“ ახალი მწვრთნელი ჰყავთ – მოსკოვის ცსკა-დან გადმოსული ალექსანდრ ტარხანოვი. ამ დღეებში მან პრესკონფერენციაც გამართა, სადაც გამოაქვეყნა იმ მოთამაშეთა ვინაობა, რომლებთანაც კლუბმა უკვე გააფორმა კონტრაქტები. ესენია: გერასიმოვი, სემაკი, იანკაუსკასი, ხოხლოვი, მაშკარინი, ბუშმანოვი, პრეიკშაიტისი, რაჟნაუსკასი, ნიგერიელები – ეგუავონი და იკპენოგა, რაც შეეხება პოდპალის, მოკრიცკის, ვოროგიოვს და ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილებს ზურაბ იონანიძეს, დავით ჯან-


ახრიკ ცვეიბა

აშიას და მალხაზ ვოსკანოვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიყვანთ გუნდში, თუ დავრწმუნდებით, რომ მათი ოსტატობის დონე მაღალია“. – განაცხადა ტარხანოვმა. დაზუსტებული ბოლო მონაცემებით ვერცერთი მათგანი გუნდში ვერ მოხვდა.

ჯემალ ჯიპაშვილი

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა

პირველი წრის შემდეგ

1995 წელს ესპანეთის პირველი ლიგის გუნდების რაოდენობა 22-მდე გაიზარდა ისევე, როგორც ოდესღაც ინგლისში იყო. ეს, ფიფას ხელმძღვანელობის აზრით, სრული ანაქრონიზმია, რაც აფერხებს ესპანური კლუბების მონაწილეობას ევროპულ ტურნირებში, აბრკოლებს ნაკრებსაც, არაერთხელ აღნიშნა მისმა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ. პირველი წრე, რომელიც 1 სექტემბერს დაიწყო, მხოლოდ გასულ კვირას დამთავრდა, საერთოდ, ჩემპიონატი კი ივნისის ბოლომდე გაგრძელდება. მარათონიც ამას ჰქვია!

პირველი წრის შემდეგ მომავალ ჩემპიონზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, წმინდა წყლის ფანტაზია იქნებოდა, მაგრამ ზოგი რამ უკვე ჩანს. მთავარი ის არის, რომ შარშანდელი გამარჯვებული „ატლეტიკო“ (მადრიდი) ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეინარჩუნებს ჩემპიონობას, რომ არის ამ წლების ორადორი კანდიდატი: მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“, რომლებიც, როგორც ჩანს, შორს ჩამოიტოვებენ მესამე პრიზიორს. ამ ორ პრეტენდენტს შორის პირველი წრის 21 ტურის შემდეგ დიდი განსხვავება არ არის: „რეალს“ 49 ქულა აქვს, „ბარსელონას“ – 46. ასე რომ, თითოეული ახალი ტური სწორედ ამ ორი ძველთაძველი მეტოქის მძაფრი ბრძოლის ნიშნის ქვეშ ჩაივლის, რომლებიც, როგორც ჩანს, ბევრ მოწინააღმდეგეს უბრალო სტატისტებად აქცევენ.

ლუის ენრიკე

ახლა ესპანელი სპეციალისტების საუბრის მთავარი თემა სწორედ ეს არის: „რეალისა“ და „ბარსელონას“ ძალისა და სტილის შედარება. აი, რას ფიქრობს ცნობილი ინგლისელი მიმომხილველი გრემ ტერნერი, რომელიც ბარსელონაში მუდმივად ცხოვრობს და ესპანეთის ჩემპიონატს ბრიტანულ პრესაში აშუქებს. მისი აზრით, „რეალი“ ფაბიო კაპელომ მეტად შეკრულ, მონოლითურ კოლექტივად აქცია და მისცა დიდი იარაღი: ჩინებული ტაქტიკური მომზადება. შეიძლება ამ გუნდის თამაში გარეგნულად ისეთი მომხიბლავი არ იყოს, როგორიც ბარსელონელებისაა, მაგრამ „რეალი“ უაღრესად რეალისტურად თამაშობს, ჩავარდნები გამორიცხულია და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ პირველი წრის შემდეგ სწორედ „რეალია“ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი ლიგაში. „ბარსელონას“ კი 3 წაგება აქვს. „ბარსელონა“ ბობი რობსონის ხელმძღვანელობით, ნამდვილ რომანტიკულ ფეხბურთს თამაშობს, იმპროვიზაციით, შეტევისაკენ მიდრეკილებით, დროდადრო გულშემატკივრები ნამდვილ ექსტაზში მოჰყავს. მთავარ კითხვაზე, მაინც რომელ გუნდს უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა, მრავალნაცადმა ტერნერმა ასე უპასუხა – ყველაფერი წინ არის. „ბარსამ“ 21 თამაშში გაიტანა 60 გოლი და გაუშვა 26, „რეალმა“ 43 გაიტანა და 14 გაუშვა. სხვა გუნდების მონაცემები კი, მათთან მოსატანიც არ არის. და კიდევ ერთ რამეს აქცევენ მიმომხილველები ყურადღებას: ბარსელონელი რონალდოსა და „რეალის“ თავდამსხმელ დავორ შუკერის დავას. პირველი სნაიპერის პრიზისათვის დღეისათვის ბრაზილიელმა 18 ბურთი გაიტანა, ხორვატმა – სამით ნაკლები. ისიც ცხადია, რომ თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მოხდა, მათ დანარჩენი პრეტენდენტები შორს უნდა ჩამოიტოვონ.

რონალდოს თამაში ახლა საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. რომარიომ ისიც კი განაცხადა, რომ, რონალდოს ყველა შესაძლებლობა აქვს პელეზე უფრო დიდი ფეხბურთელიც კი გახდეს. გასაგებია, აზრი პელესაც ჰკითხეს:

– რა თქმა უნდა, რონალდოს თამაშს შესანიშნავად ვიცნობ. სხვათა შორის, იგი ჩემმა დიდმა მეგობარმა, ჩემი დროინდელი ნაკრების მარჯვენა გარემარბმა ჟაირზინიომ აღმოაჩინა. უდავოა, რომ რონალდო დიდი ფეხბურთელია და უდიდესი მომავალიც აქვს. მაგრამ ვფიქრობ, რომ როდესაც მას ახალ პელეს, კრუიფს, დი სტეფანოსა და პუშკაშსაც უწოდებენ, ამით უდიდესი პასუხისმგებლობაც აწვება. ზოგ ჟურნალისტს რონალდოს, როგორც ფეხბურთელის ფუნქციები, არასწორად ესმის, მისი თამაშის სტილი განსხვავდება კრუიფის, მარადონასა და, რა თქმა უნდა, პელეს სტილისაგან. იგი უფრო ეუსებიოს, ვან ბასტენისა და ვეას მსგავსი თავდამსხმელია – უფრო მეტად შემტევი, უფრო წინწაწეული. ლაპარაკი იმაზე, რომ იგი უკვე გახდა მსოფლიოში უძლიერესი, შეიძლება, ცოტა ნაადრევიც კი იყოს.

რაც შეეხება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებების მწვრთნელებს, ისინი როგორც მოგეხსენებათ, პელეს არ დაეთანხმნენ და რონალდო უყოყმანოდ მიიჩნიეს 1996 წლის №1 ფეხბურთელად.

„რეალსა“ და „ბარსელონას“, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობა აქვთ სხვა გუნდებთან შედარებით, მაგრამ გარკვეული კურიოზებისაგან არც ისინი არიან დაზღვეულნი. ასე, მაგალითად, მე-19 ტურში „რეალი“ სტუმრად ეთამაშებოდა ბოლო ადგილზე „მტკიცედ“ მყოფ „ესტრამადურას“ და არავის აეჭვებოდა, რომ მორიგ სამ ქულას მოიპოვებდა. სინამდვილეში კი აი რა მოხდა: მთელი შეხვედრის განმავლობაში აუტსაიდერი გამეტებით უტევდა და ის, რომ მატჩი ფრედ (0-0) დამთავრდა, უფრო „რეალის“ მიღწევად ჩაითვალა. ამავე ტურნირში, ამაზე მეტი სიურპრიზიც კი მოხდა. „ბარსელონამ“ მიიღო უკანასკნელისწინა, 21-ე ადგილზე მყოფი „ერკულესი“ (ქ. ალიკანტე). მე-15 წუთისათვის მასპინძლები წინ იყვნენ – 2-0, მაგრამ შემდეგ მოხდა წარმოუდგენელი რამ – სტუმრებმა ამ ჩემპიონატში პირველად გაამართლეს თავიანთი სახელი, მართლაც ბერძენ გოლიათ ჰერაკლეს (ჰერკულესის) ძალით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3-2. ეს ესპანეთის ახლანდელი ჩემპიონატის ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო. ამ გამარჯვებამ ერკულესი ისე გაახალისა, რომ შემდეგი შეხვედრაც მოიგო და აუტსაიდერთა რიგები დატოვა. სხვა გუნდებიდან ყურადღება მიიქცია „ოვიედომ“. ამ რამდენიმე ხნის წინათ, როცა „ბარსელონას“ იოჰან კრუიფი წვრთნიდა, მან გადაწყვიტა „ოვიედოსათვის“ ეთხოვებინა შესანიშნავი ხორვატი ნახევარმცველი რობერტ პროსინეჩკი, რომლის თამაში ტრავმის შემდეგ გაუფერულდა. პროსინეჩკიმ „ოვიედოში“ ბრწყინვალედ დაიწყო თამაში და... „ბარსელონაში“ დააბრუნეს. ახლა, როცა რობსონმა „ბარსელონა“ ნაირნაირი ვარსკვლავებით აავსო, პროსინეჩკიმ ისევ დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, კვლავ გადავიდა „ოვიედოში“ და... კლავიშნდებურად ათამაშდა, რას იზამენ, ისევ დააბრუნებენ „ბარსელონაში“?

პროსინეჩკი (მარჯვნივ)

მომდევნო მეოცე ტური იმით იყო აღსანიშნავი, რომ ერთმანეთს შეხვდნენ მადრიდის გუნდები: (ჯერ კიდევ) ჩემპიონი „ატლეტიკო“ და „რეალი“. საქმე ის არის, რომ „ატლეტიკომ“, რომელსაც რადომირ ანტიჩი უდგას სათავეში, მეტად სუსტად დაიწყო სეზონი, მწარე დამარცხებები განიცადა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით მოითქვა სული და 10-მატჩიან დაუმარცხებელ სერიაში 7 გამარჯვება მოიპოვა. ამან ჩემპიონს მისცა საშუალება მეხუთე ადგილამდეც კი ამოწეულიყო. იმასაც აღნიშნავენ, რომ კლუბის ჭირვეულ პრეზიდენტ ჰესუს ჰილს ამდენ ხანს ჯერ მწვრთნელი არ გაუჩერებია, ანტიჩს კი პატივს სცემს, რაც არ უნდა იყოს, ამდენი ხნის შემდეგ გუნდს ჩემპიონობა მოუპოვა. „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე „რეალი“, ცხადია, სტუმრად ითვლებოდა და პირველი ტაიმი წააგო კიდეც. როცა კიკომ „ატლეტიკო“ დააწინაურა, რა თქმა უნდა, ყველაფერი წინ იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში რაულმა აღადგინა ანგარიშში წონასწორობა, მაგრამ შემდეგ „რეალი“ მაინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ მაატოვიჩი უხეშად მოექცა მსაჯს და დაუყოვნებლივ დაატოვებინეს მინდორი. ამას თითქოს დამატებითი სტიმული უნდა მიეცა მასპინძლებისათვის, მაგრამ პირიქით კი მოხდა. „რეალმა“ დიდი შეუპოვრობა გამოავლინა, შეტევებს იგერიებდა და თან კონტრიერიშებზე გადადიოდა. სწორედ, ბოლო 8 წუთის განმავლობაში გაიტანა „რეალმა“ კიდევ 3 გოლი (რაულმა, ზეედორფმა და ვიქტორმა) და შთამბეჭდავი გამარჯვებაც იზეიმა – 4-1. ამავე დღეს „ბარსელონასაც“ მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა სევილიაში მეოთხე ადგილზე მყოფ „ბეტისთან“ და მოიგო 4-2, რითაც დააწყნარა შემომწყრალი გულშემატკივრები. საინტერესოა, რომ სამივე გოლი თავით გაიტანა მოიერიშე ნახევარმცველმა ლუის ენრიკემ, რომელიც შარშანდლამდე „რეალში“ თამაშობდა (იგი ეროვნული ნაკრების წევრიცაა), ახლა კი, ბუნებრივია, დაისვა კითხვა რატომ დაუთმეს იგი მადრიდელებმა მაინცდამაინც თავიანთ უშუალო მეტოქეებს?

რონალდო

მესამე ადგილისათვის ახლა რამდენიმე გუნდი აცხადებს პრეტენზიას და მათი მდგომარეობა სისტემატურად იცვლება. ერთ-ერთი მათგანია „ლა კორუნია“ (ადრე მას უფრო „დეპორტივოს“ სახელით იხსენიებდნენ), რომელმაც მეოცე ტურში შინ ფრედ (2-2) ითამაშა ბილბაოს „ატლეტიკოსთან“. ამ მატჩში ფრიად უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. „ლა კორუნიას“ გულშემატკივრები უკმაყოფილო დარჩნენ იმით, რომ გუნდის მწვრთნელმა, ცნობილმა უელსელმა სპეციალისტმა ჯონ ტოშაკმა, რომელიც კარგა ხანია ესპანეთში მუშაობს, შეცვალა ბრაზილიელი რივალდო. როცა გულშემატკივრებმა გამაყრუებელი სტვენა ასტეხეს, ტოშაკი მოთმინებიდან გამოვიდა, ფანატებს კარგად შეუკურთხა და ამას საკმაოდ უზრდელი ჟესტიკულაციაც მიაყოლა. ეს საგინებელი სიტყვები ტელემაყურებლებსაც კარგად ესმოდათ, ტოშაკის ჟესტებსაც საკუთარი თვალით ხედავდნენ, ისე რომ, საქმე აშკარა სკანდალში გადაიზარდა. ერთი სიტყვით, საქმეები „ლა კორუნიაში“ აშკარად აირია და ახლა არა მარტო გულშემატკივრები, არამედ მოთამაშეების ნაწილიც მწვრთნელის გადადგომას მოითხოვს.

ერთი სიტყვით, ესპანეთის ჩემპიონატში უკვე ბევრი რამ მოხდა, ბევრიც წინ არის, მაგრამ შეხვედრებიც არის და შეხვედრებიც. როგორიც არ უნდა იყოს ამ მომენტისათვის გუნდების მდგომარეობა, ცხადია, დიდი ინტერესით მოელიან 13 აპრილს (33-ე ტურში) მადრიდში „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ „ბარსელონას“ გამოსვლას. გავიხსენოთ, რომ ესპანეთის სუპერთასზე ორი მატჩის შედეგით თასის მფლობელმა „ბარსელონამ“ სწორედ ჩემპიონ „ატლეტიკოს“ სძლია. და, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება 11 მაისს (37-ე ტურში) „ბარსელონა“ – „რეალის“ უშუალო მატჩს „ნოუ კამპის“ სტადიონზე. როცა პირველ წრეში „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე დამარცხდა, ბობი რობსონმა გამწარებით თქვა, რომ „რეალს“ „ნოუ კამპის“ სტადიონზეც ელოდა გამოსვლა. რაც შეეხება მადრიდულ „დერბის“, „რეალსა“ და „ატლეტიკოს“ შორის, ამჯერად უკვე „სამეფო კლუბის“ მინდორზე, მას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამასთან, იგი ხომ 41-ე ტურში, 15 მაისისათვის არის დანიშნული და ვინ იცის, შეიძლება ჩემპიონობის ბედიც კი გადაწყვიტოს.

კიევის „დინამოს“ გვარიანი ბიუჯეტი

კიევის „დინამოს“ ბიუჯეტი 1997 წლისთვის მეტად გვარიანია – 12 მილიონ დოლარს უდრის და შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე სხვა ნებისმიერი უკრაინული კლუბისა. „დინამოს“ იმედი აქვს, რომ კარგ თანხას მიიღებს თავისი ორი წამყვანი ფეხბურთელის: ნახევარმცველ მაქსიმოვისა და თავდამსხმელ ლეონენკოს ტრანსფერის შემდეგ. მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის ორი ამოცანა დაუსახეს: 1). უკრაინის ჩემპიონობის მოპოვება და 2). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე წარმატებით გამოსვლა.

«აიაქსის» ახალი ვარსკვლავი

მესხისა და მეტრეველის დრო დიდი ხანია წავიდა — მსოფლიო ფეხბურთში დღეს იშვიათია გუნდი, რომელიც განაპირა თავდამსხმელებით წარმართავს შეტევას. სწორედ ამ იშვიათობას წარმოადგენს ჰოლანდიის „აიაქსი“. ამ პოზიციაზე თამაშობენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ტიჯანი ბაბანგიდა და მარკ ოვერმარსი. ახლა, როდესაც, ფინიდი ესპანურ „ბეტისში“ გამოდის, ბოლო ოვერმარსს ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოუშუშებია მძიმე ტრავმა, შეტევის მთელი სიმძიმე ტიჯანი ბაბანგიდაზე გადადის და, შეიძლება ითქვას, მან კარგად გაართვა თავი ამ მოვალეობას. ის ისევე ცდილობს „აიაქსში“ თამაშს, როგორც ნიგერიის ნაკრებში ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე. ფეხბურთი, რომელიც აჩვენა ნიგერიის ნაკრებმა, მოულოდნელობა არ ყოფილა, მით უმეტეს, როცა აქ თამაშობდნენ ისეთი მაღალი კლასის ოსტატები, როგორებიც არიან ემანუელ ამუნიკე, ნვანკვო კანუ და დანიელ ამოკაჩი, მაგრამ ნიგერიის ნაკრების ტრიუმფში დიდი წვლილი დაიდეს ახალგაზრდა ვარსკვლავებმა — ბაბანგიდამ, ბაბაიარომ და ოლისემ. „ატლანტა გახდა ყველაზე სერიოზული გამოცდა ჩემთვის, — იგონებს ბაბანგიდა, რადგან ასეთი დიდი წარმატება და ემოციები ჩემს ცხოვრებაში მანამდე არ მქონია. ყოველთვის მემახსოვრება ზეიმი, რომელიც დაიწყო ფინალში ჩვენი მოგებისთანავე და დამთავრდა ჩვენთვის ოქროს მედლების გადმოცემით. ჩვენი გამარჯვება ორმაგად ფასობს, რადგანაც მთელი ტურნირის მანძილზე ვთამაშობდით ღია, შემტევ ფეხბურთს და არასოდეს დავცემულვართ სულით, მაშინაც კი, როცა სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ არ იყო. საბოლოოდ მეც გამიღიმა ბედმა, რადგანაც ოლიმპიური ოქრო და „აიაქსში“ გადასვლა უდიდესი წარმატებაა, რომელზედაც ვერც ვიფიქრებდი“.

ბაბანგიდა ახლა 22 წლისაა. ფეხბურთის თამაში დაიწყო ნიგერიაში. შემდეგ გამოდიოდა ჰოლანდიურ კლუბებში — „ვენლოსში“ და „როდაში“, სადაც წამყვან როლს ასრულებდა. „ჩემი აზრით, — ამბობს ცნობილი ფეხბურთელი ფრანკ რიიკარდი, — მას აქვს ყველა შანსი იმისა, რომ „აიაქსის“ ახალი ვარსკვლავი გახდეს. მისმა მშვენიერმა თამაშმა „მილანის“ წინააღმდეგ უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მოთამაშეს, რომელმაც 20 წუთის განმავლობაში ფაქტიურად დაჩაგრა თვით პაოლო მალდინი, ბრწყინვალე მომავალი ელის“.

P.S. მასალა მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გადმოსცეს, რომ ლუის ვან გაალის ნაცვლად „აიაქსში“ დანიშნულმა ახალმა მწვრთნელმა დანიელმა მორტენ ოლსენმა ჟურნალისტებს განუცხადა: „გუნდში დიდი იმედებით მოვედი. მჯერა, რომ რონალდ და ფრანკ დე ბურები, ლიტმანენი, ოვერმარსი და ბაბანგიდა მხარში ამომიდგებიან. „აიაქსის“ სათამაშო ხელწერა არ შეიცვლება... თავდასხმაში კვლავ განაპირა ფორვარდებს გამოვიყენებთ“. ასე რომ, ბაბანგიდა ისევ ჩვეულ პოზიციაზე ითამაშებს.

ირაკლი შენგელია

მარადონამ ხარს რქებში სტაცა ხელები...

არგენტინელ გულშემატკივართა კერპი დიეგო მარადონა შემობრძანებულ ახალ წელს კვლავ სკანდალის ცენტრში მოექცა. მისი საფეხბურთო კარიერის მიწურულს დიეგო ადგა, რქებში ჯიქურ სტაცა ხელები ხარს და ნამდვილი გადატრიალება მოაწყო „ბოკაში“. კერძო, არცთუ თავისი ადვოკატის დაუბრებლად, ახალი წლის წინ შემდეგ მარ-თვის სადავეები წაერთმია „ბოკას“ ახლანდელი მწვრთნელისათვის, კარლოს ბილარდოსათვის. ეს კაცი გადააყენეს და გუნდის ახალ მწვრთნელად ჰამბინო ვეირა დანიშნეს – დიეგოს განუყრელი ძმაკაცი. „ბოკაში“ ბრუნდება სახელგანთქმული ფორვარდი კანიჯაც; თუმცა მას დიეგომ ერთი პირობა წაუყენა: იტალიიდან საყვარელი ცოლი მარიანა დააბრუნე, რომ უქმეებში მასთან გავარდნა აღარ დაგჭირდეს ხოლმეო. მარადონა – კანიჯას დუეტს უერთდება სხვა არანაკლებ ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი მანკუსო. ამ საქმეზე ცოტა იმედს როდი ამყარებს „ბოკას“ ახალი მწვრთნელი.

დიეგოს ეშმაკურმა კომბინაციებმა „ბოკას“ გულშემატკივრებიც აღაფრთოვანა. მათ კვლავ განუმტკიცდათ იმედი, რომ ფეხბურთის მოედანზე იხილავენ საყვარელ მოთამაშეს. თვით მარადონა რა ჭკუაზეა? იგი ილაჯგამწყვეტ ვარჯიშს შეუდგა და ჯერჯერობით არ აპირებს დიდ ფეხბურთთან განშორებას...

მოამზადა
თამაზ ილმელმა

„კოპა ლიბერტადორესი“ იწყება...

19 თებერვალს იწყება „კოპა ლიბერტადორესის“ (სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის) მორიგი, რიცხვით 38-ე გათამაშება. მასში 5 ჯგუფად დაყოფილი 20 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

პირველი ჯგუფი: „სერო პორტენიო“, „გუარანი“ (ორივე – პარაგვაი), „ბოლივარი“, „ორიენტე პეტროლერო“ (ორივე – ბოლივია).

მეორე ჯგუფი: „ემელეკი“, „ნასიონალი“ (ორივე – ეკვადორი), „რასინგი“, „ველეს სარს ფილდი“ (ორივე – არგენტინა).

მესამე ჯგუფი: „მინეროსი“ „მინერვენი“ (ორივე – ვენესუელა), „უნივერსიდად კატოლიკა“, „კოლო-კოლო“ (ორივე – ჩილე).

მეოთხე ჯგუფი: „კრუზეირო“, „გრემიო“ (ორივე-ბრაზილია), „ალიანსა“, „სპორტინგ კრისტალი“ (ორივე – პერუ).

მეხუთე ჯგუფი: „დ[illegible]ტივო კალი“, „მილიონარიოსი“ (ორივე – კოლუმბია), „ნასიონალი“, „პენიაროლი“ (ორივე – ურუგვაი).

ჯგუფური ტურნირები 18 აპრილს დამთავრდება. მერვედფინალში თითოეული ჯგუფიდან სამ-სამი გუნდი გადის, რომლებსაც თასის ახლანდელი მფლობელი „რივერ პლეიტი“ (არგენტინა) დაემატება.

მარტინა ჰინგისი: ახლა შამპანურსაც შევეჩვევი!

(პირველი გვერდიდან)

— რატომაცა არა? ერთადერთი, რაც ხელს შემიშლის, ტრავმებია.

● *მშობლებმა ასე სახელგანთქმული მარტინა ნავრატილოვას საპატივსაცემოდ დაგარქვეს. ნავრატილოვამ 18-ჯერ მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი. გინდათ მას დაეწიოთ?*

— არ ვიცი. შეიძლება მოვახერხო, ვინაიდან საკმაოდ ახალგაზრდა ვარ. მარტინა დიდი სპორტსმენია. ერთეულთა თანრიგის გარდა მას მრავალჯერ გაუმარჯვია წყვილებში და მიქსტში, აი, აქ კი მას ვერასდროს დავეწევით. ბედნიერი ვარ, რომ ჩემპიონთა დაფაზე ნავრატილოვას სურათის გვერდით ჩემიც იქნება.

● *ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე კორტზე დედათქვენი უმალვე იქვე გაჩნდა. რა გითხრათ?*

— მგონი ასეთი სიტყვებით მომმართა: „შენ მხოლოდ 16 წლისა ხარ და უკვე ასეთ ჩოგბურთს თამაშობ!" ორივე ერთად — მშვენიერი გუნდი ვართ (დედა — მელანი მოლიტორი — მისი მწვრთნელია — რედ.). ვფიქრობ, ამ ტურნირზე ჩვენ არავინ გვჯობდა.

● *ირენ სპირლიასთან მატჩის შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ თუ ფინალში გაიმარჯვებდით, თან წაიყვანდით იმ ცხენს, რომლისგანაც მეოთხედფინალის წინ შემთხვევით გადმოვარდით...*

— ამის შესახებ კიდევ დავფიქრდები. ძალიან შორია შვეიცარიამდე.

● *თქვენ წყვილთა თანრიგშიც გაიმარჯვეთ ნატალია ზვერევასთან ერთად. გააგრძელებთ ერთად თამაშს?*

— უახლოეს ხანში — არა. ჩემთვის ძნელია მუდმივი პარტნიორის მოძებნა. უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ერთეულთა თანრიგში ასპარეზობას. ტოკიოში ვთამაშობ ჯიჯი ფერნანდესთან, პარიზში — იანა ნოვოტნასთან, კი-ბისკეინში — მერი ჯო ფერნანდესთან. ნატაშას შევთავაზე უიმბლდონში გვეასპარეზა ერთად. ღმერთს ვთხოვ, იმ პერიოდში იგი თავისუფალი იყოს. იმასაც გეტყვით, ზვერევასთან იმიტომ დავწყვილდით, რომ ნატაშას პარტნიორმა მერედით მაკგრატმა ასპარეზობის წინ ტრავმა მიიღო.

● *სად აღნიშნავთ გამარჯვებას? იმისათვის რომ ღამის კლუბში შეაღწიოთ ჩემპიონთა აღსანიშნავ საღამოზე, ნორჩი ასაკის გამო სპეციალური ნებართვა დაგჭირდებათ.*

— ალბათ, ახლობლებისა და მეგობრების წრეში, ვისთანაც მსიამოვნებს დროს ტარება.

● *სუფრაზე იქნება შამპანური?*

— რასაკვირველია!

პროფესიული კრივის ამბები

ჰოლიფილდი — წლის №1 მოკრივე

ამერიკულმა ჟურნალისტების ასოციაციამ, რომელიც კრივის თემატიკაზე წერს, 1996 წლის №1 მოკრივედ აღიარა მსოფლიო ჩემპიონი (კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ვერსია) ევანდერ ჰოლიფილდი.

„ედვარდ ჯონ ნილის პრიზი", რომელიც №1 მოკრივეს გადაეცა, ცხადია, ევანდერ ჰოლიფილდს მოუტანა 1996 წლის 9 ნოემბერს მაიკ ტაისონის დამარცხებამ. საინტერესოა, რომ ჰოლიფილდის კანდიდატურას რაიმე დიდი აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია — 80 ჟურნალისტიდან მას ხმა მისცა 75-მა.

რიკი ჯაკეზი — ტაისონის ახალი მწვრთნელი

ტაისონი რის ტაისონი იქნებოდა, ჰოლიფილდთან მატჩ-რევანშისათვის რომ არ ემზადებოდეს. ახლა მაიკი ოჰაიოს შტატის ქ ორუელში იმყოფება, თავისი პრომოუტერის დონ კინგის საწვრთნელ ბანაკში. მას შემდეგ, რაც ჰოლიფილდთან დამარცხდა, გამოიცვალა მწვრთნელი. ახლა ჯეი ბრაიტის ნაცვლად, რომელიც მას ავარჯიშებდა ციხიდან გამოსვლის შემდეგ, „რკინისებურ მაიკს" რიკი ჯაკეტი წვრთნის. ადრინდელმა მეტოქეებმა, ცხადია, ტაისონს ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა, ჰოლიფილდთან შეხვედრის შემდეგ კი ვითარება შეიცვალა.

როგორც ჯაკეტი თვლის, მას ტაისონის აქამდელი მომზადება არ აკმაყოფილებს. „შენ მხოლოდ იქითკენ მიისწრაფი, რომ მეტოქე ნოკაუტში გაისტუმრო, — განუცხადა მან ექს-ჩემპიონს, — მაგრამ კრივში ხომ სხვა გზები და ხერხებიც არსებობს". ერთი სიტყვით, მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ტაისონი რინგზე მაინცდამაინც მრავალფეროვანი მოქმედებით არ გამოირჩევა და საჭიროა ამის გამოსწორება.

პიტ სამპრასი: «ჩოგბურთი სულ უფრო ათლეტური და ძალისმიერი ხდება»

პიტ სამპრასს ავსტრალიის ღია პირველობის ზოგ მატჩში საკმაოდ გაუჭირდა, მაგრამ ის, რომ მას დღევანდელ ჩოგბურთში მაინცდამაინც ღირსეული მეტოქე არა ჰყავს, ამაში არავინ დაეჭვებულა. აი, რა უპასუხა მან კორესპონდენტს შეკითხვებზე.

● *ეთანხმებით თუ არა ბეკერს, რომელიც ამტკიცებს, რომ რბილი ბურთები, რომლებითაც მელბურნში თამაშობდით, ძალისმიერ ჩოგბურთს ზიანს აყენებს და ტრავმებსაც იწვევს?*

— ხელი არ დამიზიანებია, უკანასკნელ ორ წელიწადს ტრავმები თავიდან ავიცილე, ერთგვარ დაღლილობას კი ვგრძნობ და ამაში ბურთებია დამნაშავე.

● *სიფრთხილის რა ზომებს იღებთ, ხელის სერიოზული ტრავმა რომ არ მიიღოთ?*

— განსაკუთრებით არაფერ ისეთს, უბრალოდ, ვარჯიშისა და მატჩის შემდეგ ხელზე ყინულს ვიდებ, დაახლოებით 20 წუთს.

● *რამდენად შეიცვალა ჩოგბურთი თქვენი გამოსვლების განმავლობაში?*

— იგი უფრო ძალისმიერი გახდა, ეს არის მთავარი. ბევრი ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა დაწინაურდა, რომლებიც დიდი ძალით ურტყამენ. ყველას უძლიერესი მოწოდება აქვს, ახლანდელი ჩოგბურთელები ძალიან ჯანიანები არიან; სწრაფები, უფრო მაღლები, ვიდრე, ვთქვათ, 20 წლის წინათ. თითოეული, მაიკლ ჩანგის გამოკლებით, 185 სანტიმეტრზე მაღალია.

● *ხომ არ დაწინაურდებიან 210 სანტიმეტრის სიმაღლის ჩოგბურთელები?*

— ვფიქრობ, მათ ერთგვარი პრობლემები ექნებათ, როცა ჰაერიდან დაბალ წერტილზე უნდა გაგზავნონ ბურთი.

● *არ გიკვირთ შეჯიბრებებში უკვე 30 წლის ჩოგბურთელების თომას მუსტერისა და ბორის ბეკერის წარმატებები?*

— არა, არ მიკვირს, პირიქით, იმის იმედსაც კი მაძლევს, რომ მეც შევძლებ 30 წლამდე თამაშს და ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევ ახალ თაობას. ჯერჯერობით კი სულ 25 წლისა ვარ და „საპენსიო ფიქრებს" თავიდან ვიცილებ. არც იმაზე ვფიქრობ, რას გავაკეთებ, როცა ჩოგბურთს თავს დავანებებ.

● *ახალი თაობის ჩოგბურთელებიდან ვის გამოყოფდით?*

— ბოლო ხანებში გაცილებით უკეთ დაიწყო თამაში ტიმ ჰენმანმა. თამაშის სტილითა და ხასიათით იგი სტეფან ედბერგს მაგონებს. მას სჭირდებოდა ფიზიკურად ცოტა მომძლავრება და ეს შეძლო კიდეც. რა თქმა უნდა, გამოვყოფ ფილიპუსისს. იგი მძლავრი, ძალიან სახიფათო მოთამაშეა. დავუმატოთ გერმანელი ტომი ჰაასი, ჩილელი მარსელო რიოსი. და, გამოდის, რომ პირველ ათეულში მოხვედრის ბევრი კანდიდატი გამოჩნდა.

● *რას იტყვით ესპანელების ბრწყინვალე გამოსვლაზე? გავაოცათ ამ ამბავმა?*

— არც ისე. კორეტას შარშან ვთამაშე ამერიკის ღია პირველობაზე. მოია შესანიშნავად თამაშობს, იგივე ითქმის კოსტაზე. ეს ესპანელები მაღალ დონეზე კიდევ მრავალ წელს ითამაშებენ.

მსოფლიოს 20 საუკეთესო ჩოგბურთელი
1997 წლის 1 თებერვლისათვის

ვაჟები

1 (1). პიტ სამპრასი (აშშ) — 5774 ქულა
2 (4). გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 3566
3 (5). ტომას მუსტერი (ავსტრია) — 3492
4 (2). მაიკლ ჩანგი (აშშ) — 3417
5 (3). ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 3367
6 (7). რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 2371
7 (11) მარსელო რიოსი (ჩილი) — 2329
8. (10). უეინ ფერეირა (სამხ. აფრ. რესპ.) — 2221
9. (25). კარლოს მოია (ესპანეთი) — 2171
10 (9). ტომას ენკვისტი (შვედეთი) — 2086
11 (13). ალბერტო კოსტა (ესპანეთი) - 2036
12 (8). ანდრე აგასი (აშშ) — 1948
13 (6). ბორის ბეკერი (გერმანია) — 1931
14 (12). ტოდ მარტინი (აშშ) — 1840
15 (19). ფელიქს მანტილია (ესპანეთი) — 1688
16 (14). ტიმ ხენმენი (დიდი ბრიტანეთი) — 1587
17 (15). სტეფან ედბერგი (შვედეთი) — 1561
18 (17). მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) — 1537
19. (20). მიხაელ შტიხი (გერმანია) — 1516
20 (21). ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — 1477

როგორც ხედავთ, ყველაზე დიდი ნახტომით კარლო მოამ წაიწია წინ. ყველაზე უკან კი ბორის ბეკერმა დაიხია.

ქალები

1 (1). შტეფი გრაფი (გერმანია) — 4745
2 (4). მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 3841
3 (3) არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 3512
4 (5). კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 3090
5 (6). იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — 3087
6 (2) მონიკა სელეში (აშშ) — 3016
7 (8). ანკე ხუბერი (გერმანია) — 2304
9 (9). ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 2249
10 (10). ირინე სპრილია (რუმინეთი) — 1893
11 (11). კარინა ხაბსუდოვა (სლოვაკეთი) — 1775
12 (14). ამანდა კეტცერი (სამხ. აფრ. რესპ.) — 1608
13 (17). მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — 1542
14 (22). მარი პერსი (საფრანგეთი) — 1530
15 (12). იუდიტ ვიზნერი (ავსტრია) — 1481
16 (13). ბრენდა შულცი (ჰოლანდია) — 1393
17 (15). ბარბარა პაულიუსი (ავსტრია) — 1370
18 (18). საბინე აპელმანსი (ბელგია) — 1310
19 (23). კიმბერლი პო (აშშ) — 1209
20 (16) ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 1196

სპორტული თებერვლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარი

1. რაგბი. ხუთი ერის თასი. უელს-ირლანდია, ინგლისი-შოტლანდია.
1-2. სამთო მეთხილამურეობა. მსოფლიო თასი. ქალები. ლაკსი (შვეიცარია).
2-9. ფრისტაილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ნაგანო (იაპონია).
2-16. სამთო მეთხილამურეობა. მსოფლიო ჩემპიონატი. სესტრიერი (იტალია).
7-9. ჩოგბურთი. დევისის თასი. პირველი წრე.
7-10. ავტოსპორტი. „შვედეთის რალი" მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი.
7-13. ევროპის მოზარდთა ზამთრის ოლიმპიური დღეები. სუნდსვალი (შვედეთი).
8-9. ცურვა. მსოფლიოს თასი. ფინალი. პარიზი (საფრანგეთი).
10-16. ჩოგბურთი. ATP-ს ტურნირი. დუბაი (არაბეთის ემირატები).
14-16. ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ნაგანო (იაპონია).
15. რაგბი. ხუთი ერის ტურნირი საფრანგეთი-უელსი, ირლანდია-ინგლისი.
17-23. ჩოგბურთი. ATP-ს ტურნირი. ანვერსი (ბელგია).
22-23. სამთო მეთხილამურეობა. მსოფლიო თასი. ვაჟები. გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია).
22-2 მარტი. სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრონხეიმი (გერმანია).
27-2 მარტი. ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. ვინდიშგარსტენი (ავსტრია).
28-1 მარტი. სამთო მეთხილამურეობა. მსოფლიო თასი. ქალები. ნაგანო (იაპონია).
28-2 მარტი. ფიგურული ციგურაობა. „გრან პრის" ფინალი. გამილტონი (კანადა).
28-3 მარტი. ავტოსპორტი. რალი „საფარი". მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი. კენია

საჭადრაკო ამოცანა

ო. გამულაშვილი
(იბეჭდება პირველად)

შამათი 5 სვლაში

„ლელოს" მე-7 ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კf3!
1...... c4 2. ლd2x
1...... e5 2. კf2x
1...... მფe3 2. ლc3x

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის წევრს ომარ გოგიაშვილს დედის ანიკო კანტიძის გარდაცვალების გამო

მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობას უცხადებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორს, პროფესორ ომარ გოგიაშვილს დედის გარდაცვალების გამო

სპორტული კროსვორდი



თარაზულად: 5. სპეციალურად მოწყობილი ადგილი ცხენოსნობაში შესაჯიბრებლად, 6. წარსულში მოსკოვის „ტორპედოს" ცნობილი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 9. ურუგვაის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 11. ცნობილი ინდოელი მოჭადრაკე, 12. შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში, 14. დილის სატელევიზიო პროგრამა, საიდანაც სპორტულ ამბებსაც ვგებულობთ, 18. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 20. ილეთის შეფასება ძიუდოში, 21. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 22. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი, 23. ამერიკელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში, 24. „იუვენტუსის" ფეხბურთელი.

შვეულად: 1. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, მწვრთნელი, 2. საუკეთესო, ექსტრაკლასის სპორტსმენი, 3. ცნობილი იტალიელი ფეხბურთის მსაჯი, 4. მოსკოველი საფეხბურთო მწვრთნელი, 7. ჩოგბურთის მოედანი, 8. სამხრეთამერიკული ქალაქი, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მასპინძელი, 10. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, 12. ცნობილი იტალიური საფეხბურთო კლუბი, 13. ცხენბურთი ანუ..., 15. ლუქსემბურგის საფეხბურთო კლუბი, 16. „სკუადრა აძურას" ნახევარმცველი, 17. წყვეტილი ტემპით თამაში, 19 უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო, 21. საფრანგეთში მოთამაშე ფეხბურთელი, არგენტინელი ლეგიონერი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 7. ატლანტა, 8. მარაბდა, 11. „აიდა", 12. ლატარია, 13. ბედი, 14. არმია, 15. ანწლი, 16. მაისი, 19. ყირიმი, 20. „ალანია", 21. პრემია, 24. ეიფელი, 28. „გურია", 29. კორეა, 30. ქნარი, 33. „ანცი", 34. იასაული, 35. ორმო, 36. ორაგული, 37. ანანური.

შვეულად: 1. სტაიერი, 2. საბატინი, 3. სტილი, 4. მარაო, 5. „სარბიელი", 6. „ადიდასი", 9. სტენლი, 10 ბროლია, 17. ფილმი, 18. იააფი, 22. რეიტინგი, 23. ანონსი, 24. ესებუა, 25. ლინკოლნი, 26. ტურნირი, 27. კრემერი, 31. ვეალი, 32. „სიონი".

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი